საჯარო ბიბლიოთეკა
წიგნთსაცავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

624

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხუთშაბათი
25 იანვარი
1940 წ.
№ 19 (5720)
ფასი 10 კაპ.

## დღეს გაზეთში:

შესანიშნავი რევოლუციონერ-ბოლშევიკი (მოწინავე)

საბჭოთა ქვეყანა აღნიშნავს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ხსოვნას (1-ლი გვ.)

**ლენინის ანდერძი განხორციელებულია.**—ამხ. ა. ს. შჩერბაკოვის მოხსენება 1940 წლის 21 იანვარს ვ. ი. ლენინის გარდაცვალების XVI წლისთავისადმი მიძღვნილ სამგლოვიარო სხდომაზე დიდ თეატრში (მე-2 და მე-3 გვ.)

ოპერატიული ცნობა ლენინგრადის სამხედრო ოლქის შტაბისა (1-ლი გვ.)

**ა. პიტერსკი.** — ვ. ვ. კუიბიშევი (მე-3 გვ.)

**გიორგი წერეთელი** (გარდაცვალებიდან 40 წლისთავის შესრულების გამო. — მე-4 გვ.)

ღირსშესანიშნავი იუბილე (პროფ. ვ. ვ. ვორონინის მოღვაწეობის 50 წლის შესრულების გამო.—მე-4 გვ.).

**უცხოეთის დეპეშები:**

ჩერჩილის გამოსვლა (მე-4 გვ.)

ომი დასავლეთ ევროპაში (მე-4 გვ.)

თეთრფინელთა დახმარების საწინააღმდეგო მოძრაობა ამერიკის შეერთებულ შტატებში (მე-4 გვ.).

# შესანიშნავი რევოლუციონერ-ბოლშევიკი

ხუთი წლის წინათ შესწყდა შესანიშნავ რევოლუციონერ-ბოლშევიკის, ლენინურ-სტალინური გვარდიის თვალსაჩინო წარმომადგენლის — ვალერიან ვლადიმერის-ძე კუიბიშევის მომხიბლავი სიცოცხლე. ხალხის, ჩვენი პარტიის მრავალგზის საზიზღარმა მტრებმა მუხანათურად მოუსწრაფეს სიცოცხლე ამ შესანიშნავ ადამიანს. ვერაგმა მტერმა თავისი შხამი მიმართა იმ პროლეტარული რევოლუციონერის წინააღმდეგ, ვინც ბოლომდე, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე თავდადებულად იბრძოდა ლენინ-სტალინის დიდი საქმისათვის.

ბოლშევიკების პარტიამ კუიბიშევის სახით დაჰკარგა თავისი ერთგულესი შვილი, უშიშარი პროლეტარული რევოლუციონერი, ვინც თავისი კრისტალივით ნათელი ცხოვრება უკლებლივ შესწირა კომუნიზმის საქმეს.

ამხ. ვალერიან ვლადიმერის-ძე ჯერ კიდევ სრულიად ჭაბუკი ჩაება ომსკის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული წრეების მუშაობაში; რუსეთის პირველი რევოლუციის ქარიშხლიან დღეებში ის უკვე პეტერბურგშია და აქტიურ მონაწილეობას იღებს პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობაში. 18 წლის ახალგაზრდა ის უკვე ომსკის ბოლშევიკური კომიტეტის წევრია. ისე როგორც სხვა გამოჩენილ რევოლუციონერ ბოლშევიკებს, არც ამხ. კუიბიშევს ასცდა ციხე და გადასახლება. მეფის ოხრანკის მიერ იგი 8-ჯერ იყო დაპატიმრებული და 4-ჯერ გადასახლებული. მაგრამ ვერც საპყრობილის ბნელმა ჯურღმულებმა, ვერც ბორკილებმა ვერც შორეულ მხარეებში გადასახლებამ ვერ გასტეხა ამ უშიშარი რევოლუციონერის უდრეკი ნებისყოფა. გადასახლებაში მყოფი, იგი გამარჯვების ურყევი რწმენით გამსჭვალული უმღეროდა რევოლუციას, პოლიტიკურ თავისუფლებას. ბრძოლისაკენ მოწოდებად გაისმოდა მისი ლექსების ცეცხლოვანი სტრიქონები:

„ჰეი ძმებო! გულს სახალი
დრო ზვირთს გვაფრქვევს მხნეთ
და მხნეთა
მოდის მედგრად ქარიშხალი,
სიხარული მოაქვს ჩვენთან...
დრო მოდის და მწუხარებას
ქარიშხალის დასძლევს გმინვა,
გამოვაწრთოთ ტანჯვით ნება
არ დავემხოთ ტანჯვის წინა".

ამხ. კუიბიშევს ღრმად სწამდა რევოლუციის გამარჯვება, იგი გრძნობდა რევოლუციური ქარიშხალის მოახლოვებას. იგი ამხნევებდა ამხანაგებს და გადამწყვეტ ბრძოლებისაკენ მოუწოდებდა მათ. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ამხანაგი კუიბიშევი იბრძვის სამოქალაქო ომის ფრონტზე. ის ფრუნზესთან ერთად ხელმძღვანელობს აღმოსავლეთის ფრონტს და დაუნდობლად ანადგურებს თეთრგვარდიელთა ბანდებს. შემდეგში ამხანაგ სერგეი კიროვთან ერთად გმირულად იცავს ასტრახანს.

სახალხო მეურნეობის აღდგენის წლებში ამხ. კუიბიშევი გვევლინება, როგორც უაღრესად ნიჭიერი ორგანიზატორი. მეთაურობს რა სოციალისტური მეურნეობის დაგეგმვის საქმეს, ის ხელმძღვანელობს პირველი და მეორე სტალინური ხუთწლედების შედგენას.

როცა ჩვენი პარტია დიდი სტალინის მეთაურობით შეურიგებლად ანადგურებდა კონტრრევოლუციურ ტროცკიზმს, ამხანაგი კუიბიშევი ხელმძღვანელობდა ცენტრალურ საკონტროლო კომისიას. ის აქაც განუხრელად ატარებდა პარტიის ხაზს, მთელი ენერგიით იბრძოდა ლენინიზმის იდეური სიწმინდისათვის, ჩვენი პარტიის მთლიანობისათვის.

მთელი მისი მრავალფეროვანი სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა გამსჭვალული იყო მუშაობის სტალინური სტილით — ბოლშევიკური გაქანება, ღრმა იდეურობა და პრინციპულობა, ადამიანებისადმი განსაკუთრებული გულისხმიერება და გასაოცარი სიზუსტე მუშაობაში. ასეთი იყო მისი მოღვაწეობის დამახასიათებელი ნიშნები.

ეს დიდბუნებოვანი ადამიანი, რომელსაც გააჩნდა მრავალმხრივი ცოდნა, შესანიშნავად განასახიერებდა პროლეტარული ჰუმანიზმის კეთილშობილურ თვისებებს. იგი იყო უშიშარი და დაუნდობელი მტრების მიმართ და ამავე დროს უაღრესად ფაქიზი და მგრძნობიარე იმ ადამიანებისადმი, ვინც გულწრფელად და ერთგულად მუშაობდა პარტიის საქმისათვის.

სამოქალაქო ომის სუსხიან დღეებში, სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის წლებში და შემდგომ პერიოდშიც ყველგან, სადაც კი მას გზავნიდა პარტია, იგი განირჩეოდა როგორც უდიდესი ორგანიზატორი. იგი უაღრესად თვალსაჩინო როლს ასრულებდა ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარების საქმეში. ბოლშევიკურ იატაკქვეშეთში მუშაობამ, სამოქალაქო ომის დროს ფრონტზე და ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოებში მუშაობამ ჩამოაყალიბა ამ ადამიანში პროლეტარული რევოლუციონერის საუკეთესო თვისებები. ამხანაგი კუიბიშევი იყო დიდი სტალინის ერთერთი უახლოესი თანამებრძოლი და უკანასკნელ ამოსუნთქვამდე დარჩა დიდი სტალინისადმი უსაზღვროდ ერთგული.

ამ გამოჩენილი რევოლუციონერ-ბოლშევიკის მჩქეფარე სიცოცხლე, მისი გმირული ბრძოლა და ცხოვრება წარმოადგენს საუკეთესო ნიმუშს, რომელზედაც იზრდებიან მილიონობით ახალი ადამიანები.

ვალერიან ვლადიმერის-ძის ნათელი ხსოვნა უკვდავი იქნება მილიონების გულში, მისი სახე მარადიული ჩაუქრობელი შუქით იქნება გაელვარებული.

# ტრაქტორების რემონტი

## საქმიწსახკომის 20 იანვრის ცნობებით

| მტს-ები და მათი დირექტორები | უნდა შეკეთდეს სულ | შეკეთებულია | წლიური გეგმის შესრულება პროცენტობით | ტრაქტორების კაპიტალური რემონტის გეგმის შესრულება პროცენტობით |
|---|---|---|---|---|
| ახალქალაქი — გ. სიმონიანი | 46 | 48 | 104,3 | 100 |
| ოკამი — გ. ლარიბიანი | 28 | 25 | 89,3 | 87,5 |
| ბოგდანოვკა — ხ. ბალდასარიანი | 57 | 18 | 31,6 | 36,8 |
| ახალციხე — გ. აივაზიანი | 32 | 30 | 93,8 | 71,4 |
| ადიგენი — ა. ნახაპეტოვი | 14 | 12 | 85,7 | 50 |
| აგარა — ა. მიქაძე | 69 | 68 | 98,6 | 100 |
| ოსიაური — ვ. ქველაძე | 66 | 35 | 53 | 44,4 |
| გორი — ე. მუკაშიანი | 98 | 65 | 66,3 | 75,8 |
| ახალსოფელი — კ. აბალაკი | 66 | 43 | 65,2 | 76,5 |
| კასპი — პ. ვარძელაშვილი | 40 | 31 | 77,5 | 100 |
| წითელქალაქი — ა. ზავრადაშვილი | 37 | 30 | 81,1 | 53,8 |
| სტალინირი—მოვ. დრ. ალმ. ბეკოევი | 46 | 27 | 58,7 | 42,9 |
| მცხეთა — კ. ქაჯაია | 43 | 28 | 65,1 | 53,3 |
| თბილისი — ა. მიგრიაული | 42 | 30 | 71,4 | 72,2 |
| თელეთი — ა. ბაზიარი | 26 | 21 | 80,8 | 60 |
| დუშეთი — გ. ჭალიძე | 29 | 21 | 72,4 | 70 |
| საგარეჯო — ა. ქემოკლიძე | 52 | 32 | 61,5 | 60 |
| სართიჭალა — ბ. რევაზოვი | 25 | 20 | 80 | 100 |
| ბორჩალო — გ. ასატუროვი | 53 | 44 | 83 | 100 |
| სადახლო — პ. მამედოვი | 31 | 17 | 54,8 | 100 |
| ლუქსემბურგი — ვ. ბელქანია | 32 | 32 | 100 | 112,5 |
| ყარაია — ნ. გონგაძე | 52 | 44 | 84,6 | 66,7 |
| გურჯაანი — ი. ბარბაქაძე | 60 | 29 | 48,3 | 68,8 |
| კაჭრეთი — ა. მეტრეველი | 39 | 20 | 51,3 | 71,4 |
| ულიანოვკა — მ. ალავერდაშვილი | 51 | 51 | 100 | 90,9 |
| წნორი — ი. ფეიქრიშვილი | 63 | 57 | 90,5 | 100 |
| წითელწყარო — მ. მაისურაძე | 67 | 49 | 73,1 | 51,9 |
| ალაზანი — ა. ჩიგილაშვილი | 55 | 50 | 90,9 | 100 |
| შირაქი — ვ. გურაშვილი | 46 | 23 | 53,5 | 42,9 |
| თელავი — ი. მახარობლიძე | 42 | 28 | 66,7 | 81,3 |
| ახმეტა — ფ. ლოქაფიშვილი | 26 | 11 | 42,3 | 12,5 |
| ყვარელი — ვ. ტალახაძე | 47 | 37 | 78,7 | 66,7 |
| ლაგოდეხი — ს. გუდკოვი | 70 | 39 | 55,7 | 42,9 |
| ასურეთი — ე. ვანიევი | 29 | 30 | 103,4 | 88,9 |
| ბაშკიჩეთი — გ. ოვანოვი | 37 | 19 | 51,4 | 75 |
| თიანეთი — კ. ჭინჭარაული | 21 | 19 | 90,5 | 66,7 |
| წალკა — მოვ. დრ. ალმ. ხეირიანოვი | 34 | 16 | 47,1 | 60 |
| ქუთაისი — ე. ნემსიწვერიძე | 26 | 11 | 42,3 | 33,3 |
| სამტრედია — კ. გაბიდავა | 11 | 8 | 72,7 | 100 |
| წულუკიძე — ნ. ხვიჩია | 18 | 6 | 33,3 | 42,9 |
| ვანი — მ. ცქიფურიშვილი | 14 | 2 | 14,3 | — |
| ზესტაფონი — შ. ბარბაქაძე | 19 | 12 | 63,2 | 66,7 |
| აბაშა — ბ. ბაკურია | 15 | 5 | 33,3 | 33,3 |
| ცხაკაია — ხ. მაქაცარია | 26 | 18 | 69,2 | 42,9 |
| გეგეჭკორი — ნ. მიქაძე | 16 | 11 | 68,8 | 50 |
| ზუგდიდი — ვ. ჩიქავა | 34 | 21 | 61,8 | 16,7 |
| ხობი — კ. ჩემინავა | 21 | 18 | 85,7 | 60 |
| წალენჯიხა — მ. კვარაცხელია | 7 | 5 | 71,4 | 100 |
| მახარაძე — დ. ჭეიშვილი | 13 | 9 | 69,2 | 50 |
| ლანჩხუთი — ნ. ლალაძე | 17 | 17 | 100 | — |
| გალი — მ. ხვიტია | 19 | 9 | 47,4 | 14,3 |
| ოჩამჩირე — დ. აშუბა | 22 | 14 | 63,6 | 25 |
| სოხუმი — რ. კოტრიკაძე | 7 | 2 | 28,6 | — |
| გუდაუთი — ნ. აბლოთია | 6 | 2 | 33,3 | — |
| სულ: | 1.959 | 1.369 | 69,9 | 67,1 |

○

კაპიტალური რემონტიდან არცერთი ტრაქტორი არ გამოუშვიათ სოხუმისა და გუდაუთის მტს-ებს. იანვრის პირველ დეკადაში საქართველოს მტს-ებმა შეაკეთეს სულ 145 ტრაქტორი, მეორე დეკადაში კი — 208. შარშან ამავე რიცხვისათვის ტრაქტორების შეკეთების წლიური გეგმა შესრულებული იყო 78,4 პროცენტით.

# საბჭოთა ქვეყანა აღნიშნავს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ხსოვნას

## 21 იანვარი მოსკოვში

21 იანვარს, საღამოს 6 საათსა და 50 წუთზე დედაქალაქის ქუჩები, მოედნები და შუკები სამგლოვიაროდ შეიმოსა. ყველა სახლზე გამოჰკიდეს შავი კრეპით შემოვლებული წითელი ბაირაღები. მოსკოვმა აღნიშნა ლენინის გარდაცვალების XVI წლისთავი.

ხალხის მძლავრი ნაკადი განუწყვეტლივ მიემართება ლენინის მავზოლეუმისაკენ. მრავალმა მშრომელმა დაათვალიერა ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმი. მუზეუმის შენობაზე გამოკრულია სამგლოვიარო არშიით შემოვლებული წითელი ალმები. ცენტრში მოთავსებულია ვლადიმერ ილიას-ძის დიდი პორტრეტი. გუშინ მუზეუმში იყვნენ მუშები და მუშა-ქალები, წითელარმიელები და მეთაურები, უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტები, მოსკოვის სკოლის მოსწავლენი. ისინი დიდი ინტერესით ეცნობოდნენ მრავალ ექსპონატს, რომლებიც გვიხატავენ ვ. ი. ლენინისა და მისი საქმის დიდი განმგრძობის — ი. ბ. სტალინის ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

დედაქალაქის 13 კინო-თეატრში დაიდგა ისტორიული, მხატვრული და დოკუმენტურ-ქრონიკალური ფილმები ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ: „ლენინი ოქტომბერში", „ლენინი 1918 წელს", „თოფიანი კაცი", „დიადი განთიადი", „ვიყოთ ისეთი, როგორიც იყო ლენინი", „სამი სიმღერა ლენინზე".

კლუბებში გაიმართა 95 ლიტერატურული საღამო თემაზე: „ლენინი სსრ კავშირის ხალხთა მხატვრულ ლიტერატურასა და შემოქმედებაში".

გუშინ ათასობით აგიტატორებმა საუბარი ჩაატარეს ფაბრიკებსა და ქარხნებში ვლადიმერ ილიას-ძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. მოსკოვის საწარმოთა სტახანოველები და დამკვრელები 21 იანვარს ლენინის ვახტზე დადგნენ და დიდ საწარმოო წარმატებას მიაღწიეს. (საკდესი).

## ლენინის მავზოლეუმთან

ლენინის დღეებში წითელ მოედანზე ვ. ი. ლენინის მავზოლეუმთან განუწყვეტელ ნაკადად მიდიოდნენ მშრომელები. მუშები, კოლმეურნეები, სპეციალისტები, მოსამსახურეები, წითელი არმიის მებრძოლნი, მეთაურები და პოლიტმუშაკები, სტუდენტები, ბავშვები — ყველა ასაკის, ეროვნებისა და პროფესიის ადამიანები მოდიოდნენ აქ, რათა აღენიშნათ დიდი ლენინის ხსოვნა.

მათ შორის ბევრი იყვნენ ჩამოსულნი. მავზოლეუმში მიდიოდნენ მთელი ოჯახები. ბევრმა დედ-მამამ თავიანთი პაწია შვილები მოიყვანეს...

ლენინის დღეებში მავზოლეუმი ნახა ათიათასობით მშრომელმა. მარტო 22 იანვარს ლენინის კუბოს ჩაუარა 24 ათასზე მეტმა კაცმა.

## სამგლოვიარო კრება ლვოვში

**ლვოვი,** 21 იანვარი (საკდესი). დღეს უკრაინის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართა პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული აქტივისა და წითელი არმიის წარმომადგენელთა საერთო საქალაქო სამგლოვიარო კრება, მიძღვნილი ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის გარდაცვალების XVI წლისთავისადმი.

თეატრის სცენის სიღრმეში ცოცხალ ყვავილებსა და დროშებს შორის აღმართულია ვლადიმერ ილიას-ძის ვეებერთელა პორტრეტი, სამგლოვიარო ჩარჩოში ჩასმული. გვერდით ამხანაგ სტალინის დიდი ბიუსტია.

სცენის თავზე გამოკრულია ლოზუნგი: „ლენინის საქმე უკვდავია".

№ ნაწილის წითელარმიელთა საპატიო ყარაული იცვლება ყოველ 5 წუთში.

კრებას ხსნის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ერიმენკო. რამდენიმე წუთს დარბაზში სრული სიწყნარეა. ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ხსოვნის პატივსაცემად შეკრებილნი ფეხზე ადგნენ.

კრებამ მისასალმებელი წერილი მიიღო ამხანაგ **სტალინისადმი.**

## ლენინის ქალაქი პატივს სცემს დიდი ბელადის ხსოვნას

**ლენინგრადი,** 21 იანვარი (საკდესი). ლენინის ქალაქი სამგლოვიაროდ შეიმოსა.

სადილობის დასვენების დროს და მუშაობის შემდეგ ქარხნებში, ფაბრიკებში, დაწესებულებებში, კლუბებსა და კულტურის სახლებში გაიმართა საუბრები და კრებები, რომლებიც მიეძღვნა მშრომელი კაცობრიობის გენიალური ბელადის ვ. ი. ლენინის ხსოვნას.

18 საათსა და 50 წუთზე ს. მ. კიროვის სახელობის თეატრში გაიხსნა პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების სამგლოვიარო სხდომა.

სცენაზე ცოცხალ ყვავილებსა და წითელ დროშებს შორის აღმართულია ვლადიმერ ილიას-ძის ვეებერთელა პორტრეტები.

პრეზიდიუმის მაგიდასთან მიდიან: ამხანაგი ჟდანოვი, საკ. კ. პ. (ბ) საქალაქო და საოლქო კომიტეტების მდივნები—ამხ. კუზნეცოვი, სმირნოვი, მახანოვი, ბუმაგინი და სხვები.

სამგლოვიარო სხდომას ხსნის საკ. კ. პ. (ბ) საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. კუზნეცოვი. იგი მოკლე შესავალ სიტყვას ამბობს და წინადადება შეაქვს ფეხზე ადგომით, სცენ პატივი ვლადიმერ ილიას-ძის ხსოვნას. ყველანი ფეხზე დგებიან. უკრავს სამგლოვიარო მარში.

საპატიო პრეზიდიუმში ირჩევენ ამხანაგ **სტალინს, მოლოტოვს, ვოროშილოვს, კაგანოვიჩს, კალინინს, ანდრეევს, ჟდანოვს, მიქოიანს, ხრუშჩოვს, შვერნიკს, ბერიას.**

დიდი მოხსენებით გამოვიდა საკ. კ. პ. (ბ) საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. მახანოვი.

ყველანი ფეხზე დგებიან და დიდხანს უკრავენ ტაშს, როდესაც ამხ. მახანოვი მოხსენების დასასრულ ამბობს:

— გაუმარჯოს ლენინიზმს!

— გაუმარჯოს ამხანაგ **სტალინს,** რომელსაც კომუნიზმის ბრწყინვალე მწვერვალებისაკენ მიჰყავს საბჭოების ქვეყანა!

# ლენინის დღეები საქართველოში

## თბილისი

სამგლოვიარო სხდომებით და მოგონებათა საღამოებით აღნიშნეს თბილისის მშრომელებმა რევოლუციის გენიის — დიდი **ლენინის** გარდაცვალების XVI წლისთავი. ფაბრიკებში, ქარხნებში, სკოლებში, დაწესებულებებში ყველგან მოეწყო ილიჩის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამოები, ყველგან მოისმინეს მოხსენებები ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

22 და 23 იანვარს მოეწყო მასობრივი ექსკურსიები მუზეუმებში და გამოფენებზე. განსაკუთრებით დიდძალი მნახველნი მიაწყდნენ ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალს და იქ მოწყობილ გამოფენას.

მთელი ორი დღის განმავლობაში განუწყვეტლივ მიდიოდნენ ექსკურსანტთა ჯგუფები ავლაბრის ყოფილი არალეგალური სტამბის დასათვალიერებლად. მარტო თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონ-სარემონტო ქარხნიდან 22 იანვარს ლენინის მუზეუმისა და ავლაბრის ყოფილი არალეგალური სტამბის დასათვალიერებლად მოეწყო 300 კაცისაგან შემდგარი ექსკურსია. ექსკურსიაში მონაწილეობდნენ მუშები და მათი ოჯახის წევრები. ასევე მრავალრიცხოვანი ექსკურსიები მოეწყო თბილისის სხვა ფაბრიკა-ქარხნებიდან.

21 იანვარს — ლენინის გარდაცვალების დღეს — თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში გახსნეს გამოფენა, მიძღვნილი ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი.

საქ. სახელმწიფო კონსერვატორიაში შემდგარ საღამოზე შესრულებულ იქნა ბეთჰოვენისა და ჩაიკოვსკის ის მუსიკალური ნაწარმოებნი, რომლებიც განსაკუთრებით უყვარდა ლენინს.

ვოროშილოვის სახელობის კლუბის ფოიეში მოეწყო დიდი გამოფენა, მიძღვნილი ლენინის ხსოვნისადმი.

თბილისის თეატრებში, კინოებში და სანახაობით დაწესებულებებში ლენინის დღეები აღნიშნული იყო ლენინის ხსოვნისადმი მიძღვნილი სპექტაკლებით და კინოფილმების დემონსტრაციით.

## სოხუმი

(„კომუნისტის" კორესპონდენტისაგან)

სოხუმის მშრომელებმა განსაკუთრებით აღნიშნეს დიდი ლენინის გარდაცვალების XVI წლისთავი. 19-20-21 იანვარს ქალაქის ყველა საწარმო-დაწესებულებაში და კლუბში ჩატარდა მშრომელთა კრებები. დამსწრეთ ფართოდ გააცნეს **ლენინის** ცხოვრება და მოღვაწეობა.

21 იანვარს საღამოს აფხაზეთის სახელმწიფო თეატრში შესდგა ლენინის ხსოვნისადმი მიძღვნილი დიდი საზეიმო-სამგლოვიარო კრება, რომელსაც დაესწრო პარტიული, კომკავშირული, საბჭოთა და პროფკავშირული აქტივი. მოხსენებით თემაზე: „XVI წელი ულენინოდ, ლენინური გზით, ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით"—გამოვიდა პარტიის საოლქო კომიტეტის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების გამგე ამხ. მ. სტრაცევი, რომელმაც ვრცლად გააშუქა ლენინის ცხოვრება და მოღვაწეობა და ის მიღწევები, რაც საბჭოთა ხალხმა მოიპოვა დიდი **სტალინის** ხელმძღვანელობით. დასასრულ დამსწრეთ უჩვენეს მხატვრულ-ისტორიული ფილმი „ლენინი 1918 წელს".

ლენინის ხსოვნისადმი მიძღვნილი ასეთი საზეიმო-სამგლოვიარო სხდომები აფხაზეთის ყველა რაიონში ჩატარდა.

**გ. მერკვილაძე**

## ლანჩხუთი

(„კომუნისტის" კორესპონდენტისაგან)

ლენინის დღეების აღსანიშნავად ლანჩხუთის ყველა დაწესებულებებსა და კოლმეურნეობაში ჩატარდა მოხსენებები.

პარტიულმა კაბინეტმა მოაწყო დიდი ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი გამოფენა, რომელზედაც წარმოდგენილია მისი ხელნაწერები, ფოტოასლები და ნაშრომები.

20 იანვარს სახელმწიფო თეატრში ჩატარდა სამგლოვიარო-საზეიმო სხდომა, რომელსაც 400-ზე მეტი კაცი დაესწრო. მოხსენებით „16 წელი ულენინოდ, დიდი სტალინის ხელმძღვანელობით, ლენინის გზით" —გამოვიდა ამხ. ე. ბურჭულაძე.

**მექვაბიშვილი**

## გორი

(„კომუნისტის" კორესპონდენტისაგან)

21 იანვარს, საღამოს, გორის კულტურის სახლში კომკავშირული, პროფკავშირული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად ჩატარდა ქალაქის პარტიული აქტივის სხდომა, მიძღვნილი კაცობრიობის უდიდესი გენიოსის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის გარდაცვალების 16 წლისთავისადმი.

სხდომაზე ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა გორის პარტრაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ამხ. მ. ხუციშვილი.

ამავე დღეს ლენინის გარდაცვალების 16 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებები ჩატარდა რაიონის საწარმო-დაწესებულებებში, სკოლებსა და კოლმეურნეობებში.

**ს. ყურაშვილი**

## ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ხსოვნისადმი მიძღვნილი მიტინგები ამერიკის შეერთებულ შტატებში

**ნიუ-იორკი,** 22 იანვარი (საკდესი). გაზეთი „დეილი უორკერი" იუწყება, რომ ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ხსოვნისადმი მიძღვნილ მიტინგს, რომელიც დეტროიტში გაიმართა, 1.500 კაცი დაესწრო. შეკრებილებმა მიიღეს რეზოლუცია, რომლითაც პირობა დასდეს იბრძოლონ ომში ამერიკის შეერთებული შტატების ჩათრევის წინააღმდეგ.

ასეთივე მიტინგები გაიმართა ბოსტონსა და კლივლენდში.

## „სინხუაჟიბაო" ლენინის გარდაცვალების 16 წლისთავის შესახებ

**ჩუნცინი,** 22 იანვარი (საკდესი). გაზეთ „სინხუაჟიბაოს" 21 იანვრის ნომერი მიძღვნილია ლენინის გარდაცვალების XVI წლისთავისადმი. გაზეთი მოწინავე სტატიაში სწერს: „ოქტომბრის რევოლუცია მოხდა ლენინის ხელმძღვანელობით. საფუძველი ჩაეყარა სოციალიზმის მშენებლობას. ლენინის გარდაცვალების შემდეგ 16 წლის განმავლობაში ლენინის მიმდევარი და მეგობარი სტალინი ახორციელებს ლენინის მოძღვრებასა და ანდერძს".

## მოსკოვ-ბერლინის ავიახაზით

21 იანვარს საჰაერო მიმოსვლა გაიხსნა მოსკოვ-ბერლინის საერთაშორისო საავიაციო ხაზით. 11 საათსა და 03 წუთზე მოსკოვის აეროპორტის აეროდრომიდან აფრინდა საფოსტო-სამგზავრო თვითმფრინავი „დს-3". საერთაშორისო საჰაერო ექსპრესზე 8 მგზავრი იმყოფებოდა.

17 საათსა და 55 წუთზე თვითმფრინავი კენიგსბერგის აეროდრომზე დაეშვა.

21 იანვარს დილით ბელოსტოკიდან კენიგსბერგსა და დანციგზე გავლით ბერლინს გაფრინდა მეორე საბჭოთა სარეისო თვითმფრინავი „დს-3". თვითმფრინავზე 5 მგზავრი იმყოფებოდა.

იმავე დღეს 15 საათსა და 23 წუთზე თვითმფრინავი ბერლინის აეროდრომზე დაეშვა. (საკდესი).

ვ. ვ. კუიბიშევი

# ვ. ვ. კუიბიშევის ხსოვნას

**კუიბიშევი,** 24 იანვარი (საკდესი). ქალაქში დაცულია მრავალი ისტორიული ძეგლი, რომლებიც დაკავშირებულია მგზნებარე რევოლუციონერ-ბოლშევიკის ვ. ვ. კუიბიშევის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან.

ფრუნზეს სახელობის ქუჩაზე სდგას ყოფილი თეატრის „ოლიმპის" შენობა. ამ შენობაში ახლა მოთავსებულია ოპერეტის თეატრი. სახლის კედელზე მიკრულია მემორიალური დაფა წარწერით: „ამ შენობაში 1917 წლის 8 ნოემბერს გამოცხადდა საბჭოთა ხელისუფლება სამარაში და აირჩიეს პირველი რევოლუციური კომიტეტი ვალერიან ვლადიმერის-ძე კუიბიშევის მეთაურობით".

ჩაპაევის სახელობის მოედანზე მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შენობაში 1917 წელს მოთავსებული იყო სამარის რევოლუციური კომიტეტი და წითელი გვარდიის შტაბი. აქ 1917 წლის დეკემბერში მუშათა კლასის საზიზღარმა გამცემლებმა—ესერებმა, შეეცადნენ რა რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარის ვ. ვ. კუიბიშევის მოკვლას, აფეთქება მოახდინეს სახლში და თოფები დაუშინეს წითელგვარდიელებს. ვ. ვ. კუიბიშევი უვნებელი დარჩა.

იმ ქუჩაზე, რომელიც ახლა კუიბიშევის სახელს ატარებს, დაცულია ყოფილი კინო-თეატრის „ტრიუმფის" შენობა. ამ შენობაში 1918 წლის 8 დეკემბერს შესდგა სამარის მუშა-ახალგაზრდობის პირველი კრება, რომელზედაც ვ. ვ. კუიბიშევის მონაწილეობით შექმნილ იქნა ქალაქის კომკავშირული ორგანიზაცია.

სამხედრო - სამედიცინო აკადემიის მსმენელთა საერთო საცხოვრებლის შენობაში არციბაშევის ქუჩაზე წინათ სამარის საგუბერნიო საპყრობილე იყო. აქ განკერძოებულ საკანში 1916 წლის 18 სექტემბრიდან 1917 წლის თებერვლის დამდეგამდე დამწყვდეული იყო ვ. ვ. კუიბიშევი, რომელიც დააპატიმრეს ვოლგისპირა პარტიული კონფერენციის საქმის გამო. ამჟამად ხდება საკანის აღდგენა. რევოლუციის მუზეუმმა აქ მოაწყო ვ. ვ. კუიბიშევის ხსოვნისადმი მიძღვნილი გამოფენა.

ყოფილი სამილე ქარხნის მრავალ ძველ მუშას კარგად ახსოვს ვ. ვ. კუიბიშევი, რომელიც 1916 წელს ქარხანაში მუშაობდა. ქარხნის ერთერთ საამქროში, რომელიც ახლა მასლენიკოვის სახელს ატარებს, სდგას სალარავი დაზგა. ამ დაზგის სადგარზე მოთავსებულია ვ. ვ. კუიბიშევის პორტრეტი და დაფა წარწერით: „ამ სალარავ დაზგაზე № 6 საამქროში 1916 წელს მუშაობდა ვალერიან ვლადიმერის-ძე კუიბიშევი".

დაზგაზე ამჟამად მუშაობს სტახანოველი ამხ. კულიკოვა, რომელიც ცვლის დაახლოებით 2 ნორმას ასრულებს.

ქალაქში აგებულია კუიბიშევის სახელობის კულტურის შესანიშნავი სასახლე. სასახლის წინ დადგმულია ვ. ვ. კუიბიშევის ბრინჯაოს ძეგლი.

# ბელორუსიის დასავლეთ ოლქების მშრომელები დიდი აღფრთოვანებით ებმებიან საარჩევნო კამპანიაში

**ბელოსტოკი,** 23 იანვარი (საკდესი). მშრომელთა დეპუტატების ბელოსტოკის საოლქო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. პრიტიცკიმ საკდესის კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა:

— ბელორუსიის დასავლეთ ოლქების მშრომელები დიდი სიხარულით შეხვდნენ სსრ კავშირისა და ბელორუსიის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოების ბრძანებულებებს სსრ კავშირისა და ბელორუსიის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოების დეპუტატთა არჩევნების შესახებ.

სტალინურმა კონსტიტუციამ ჩვენს ცხოვრებას შუქი მოჰფინა. პანების უღლისაგან გმირი წითელი არმიის მიერ განთავისუფლებული დასავლეთ ბელორუსიის მშრომელებმა თავისუფლად ამოისუნთქეს. სულ ცოტა ხნის წინათ დასავლეთ ოლქების მშრომელებმა ჩაატარეს საყოველთაო სახალხო დღესასწაული — სახალხო კრების არჩევნების დღე, რომელმაც განთავისუფლებულ მიწა-წყალზე საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადა. ასეთივე სიხარულითა და ზეიმით ავირჩევთ სოციალისტური პარლამენტების — სსრ კავშირისა და ბელორუსიის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს.

ჩვენ ათასობით მოწინავე ადამიანი უნდა წამოვაყენოთ საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებად, უნდა შევარჩიოთ ბინები საარჩევნო უბნებისათვის, ფართოდ გავშალოთ საგიტაციო და მასობრივი ახსნა-განმარტებითი მუშაობა.

სსრ კავშირისა და ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატთა არჩევნების საარჩევნო კამპანია გამოიწვევს მშრომელთა შემოქმედებითი ენტუზიაზმის ახალ აღმავლობას. ბელორუსი ხალხი უფრო მეტი ენერგიით განამტკიცებს თავის სამშობლოს ძლიერებასა და შეჰმატებს მას სახელსა და დიდებას.

# ოპერატიული ცნობა

## ლენინგრადის სამხედრო ოლქის შტაბისა

22 იანვრის განმავლობაში ყველა მიმართულებით მზვერავი ნაწილების მცირე შეტაკებანი ხდებოდა, მთელ რიგ რაიონებში სწარმოებდა საარტილერიო სროლა.

ჩვენი ავიაცია საზვერავ ფრენას აწარმოებდა.

○

23 იანვრის განმავლობაში **უხტისა** და **რებოლის** მიმართულებით მზვერავები აწარმოებდნენ ძიებას. **პეტროზავოდსკის** მიმართულებით ქვეითი ჯარის ცალკეული რაზმები აწარმოებდნენ საბრძოლო მოქმედებას. **კარელიის ყელზე** სწარმოებდა საარტილერიო სროლა და მზვერავები აწარმოებდნენ ძიებას.

ჩვენი ავიაცია საზვერავ და საბრძოლო ფრენას აწარმოებდა.

○

24 იანვრის განმავლობაში ყველა მიმართულებით სწარმოებდა მზვერავთა საძიებო მოქმედება და ქვეითი მცირე ნაწილების შეტაკებები.

ჩვენი ავიაცია სადაზვერვო ფრენას აწარმოებდა.

# ლენინის ანდერძი განხორციელებულია

## ამხ. ა. ს. შჩერბაკოვის მოხსენება 1940 წლის 21 იანვარს ვ. ი. ლენინის გარდაცვალების XVI წლისთავისადმი მიძღვნილ სამგლოვიარო სხდომაზე დიდ თეატრში

**ამხანაგებო!**

კიდევ ერთი წელი გავიდა იმ დღიდან, როცა ულმობელმა სიკვდილმა შეწყვიტა ჩვენი პარტიის ორგანიზატორის, მთელი მსოფლიოს მშრომელთა მასწავლებლისა და ბელადის ვლადიმერ ილიას-ძე **ლენინის** სიცოცხლე. ამხანაგ **ლენინის** გარდაცვალების დღიდან განვლილი მეთექვსმეტე წელი — სწრაფი საბჭოთა ტემპების პირობებშიც კი — განსაკუთრებული, ისტორიული მნიშვნელობის უდიდესი ამბებით აღსავსე წელი იყო.

ეს იყო წელიწადი, როცა ჩატარდა ჩვენი პარტიის ისტორიული XVIII ყრილობა, რომელზედაც ამხანაგმა **სტალინმა** გადაგვიშალა შემდგომი წინსვლის, კომუნიზმისაკენ წინსვლის პროგრამა. ამხანაგ **სტალინის** მოხსენებამ პარტიის XVIII ყრილობაზე გაგვიხსნა გზა ჩვენი ქვეყნის მომავალისაკენ, გვიჩვენა გზა ბრძოლის საბოლოო მიზნისაკენ — კომუნიზმის გამარჯვებისაკენ.

**ლენინის** გარდაცვალების XVI წლისთავს ჩვენი ქვეყანა აღნიშნავს მაშინ, როცა იგი შევიდა თავისი განვითარების ახალ ხანაში, სოციალიზმის მშენებლობის დამთავრებისა და კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის ხანაში.

1939 წელი იყო სოციალისტური მეურნეობის ახალ გამარჯვებათა წელი.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის ამ დღეებში გამოქვეყნებული ცნობა 1939 წელს სამრეწველო წარმოების, რკინიგზებზე საქონლის დატვირთვისა და საცალო საქონელბრუნვის ზრდის შესახებ ახალი დამამტკიცებელი საბუთია იმისა, რომ სოციალისტური მეურნეობა განუხრელად მიიწევს მაღლა.

საბჭოთა ხალხმა კმაყოფილებით წაიკითხა, რომ სახელმწიფო მრეწველობამ წარმოება გაადიდა 14,7 პროცენტით და რომ შრომის ნაყოფიერება 17 პროცენტით გაიზარდა.

განსაკუთრებული კმაყოფილებით წაიკითხეს საბჭოთა ადამიანებმა ცნობა იმის შესახებ, რომ თავდაცვის მრეწველობა 46,5 პროცენტით გაიზარდა.

მრეწველობის წარმატებანი, სტახანოვური მოძრაობის ახალი აღმავლობა, კოლმეურნეობათა ახალი გამარჯვებანი, კადრების ზრდა, საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი ინიციატივის მრავალმხრივი და მძლავრი გამოვლინებანი — ყოველივე ეს მოწმობს სოციალიზმის ძალთა შემდგომ შესანიშნავ გაფურჩქვნას.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებმა, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ დამთავრდა, კიდევ ერთხელ და ახალი ძალით ცხადჰყო, თუ როგორ გაძლიერდა საბჭოთა სახელმწიფო, როგორ თანდათან მტკიცდება საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, როგორ ურყევია მისი დარაზმულობა ბოლშევიკური პარტიის, საბჭოთა მთავრობისა და ამხანაგ სტალინის გარშემო (**მქუხარე ტაში**).

ამ არჩევნებში, ისე როგორც წინა არჩევნებში, სავსებით გაიმარჯვა კომუნისტთა და უპარტიოთა სტალინურმა ბლოკმა. მუშებმა, კოლმეურნეებმა, ინტელიგენციამ კვლავ ხმა მისცეს ბოლშევიკების სრულიად-საკავშირო კომუნისტურ პარტიას, იმიტომ რომ დარწმუნებული არიან მისი პოლიტიკის სისწორეში, დარწმუნებული არიან იმაში, რომ ეს და მხოლოდ ეს პოლიტიკა უზრუნველჰყოფს ხალხის ინტერესებს.

1939 წელი შესანიშნავია ჩვენი ქვეყნის უდიდესი, საერთაშორისო წარმატებებით, სსრ კავშირის გავლენის ზრდით მთელი მსოფლიოს მუშათა და მშრომელთა შორის.

სოციალიზმის ქვეყანა მუდამ იყო მცირე ქვეყნებისა და ხალხების მეგობარი. სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკა მუდამ მიმართული იყო ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ, მშვიდობიანობისაკენ, ხალხთა მეგობრობისაკენ. ამ პოლიტიკამ განსაკუთრებით უხვი ნაყოფი მოგვცა გასულ წელს. 1939 წელს, საბჭოთა მთავრობის მეთაურის ამხანაგ ვ. მ. **მოლოტოვის** მოსწრებული თქმით, კაპიტალისტურ სამყაროს ცოტა შევიწროება და უკან დახევა მოუხდა, ხოლო საბჭოთა კავშირმა თავისი საზღვრები მნიშვნელოვნად წასწია დასავლეთისაკენ.

სსრ კავშირის ხალხთა მეგობრულ ოჯახს შემოუერთდნენ პოლონელი პანების უღლისაგან გმირული წითელი არმიის მიერ განთავისუფლებული დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიაში მოსახლე ჩვენი თვისტომი ძმები.

როგორც ხედავთ, ამხანაგებო, ვ. ი. **ლენინის** გარდაცვალებიდან განვლილი მეთექვსმეტე წელი ჭეშმარიტად შესანიშნავ, ღირსსახსოვარსა და ძვირფას წელს წარმოადგენდა. ეს იყო ლენინურ-სტალინურ იდეათა ახალი გამარჯვების წელიწადი, **ლენინის** ანდერძის შემდგომი განხორციელების წელიწადი.

**ლენინი** იყო პროლეტარული პარტიის ბელადი, რევოლუციის გენიოსი, რევოლუციური ხელმძღვანელობის უდიდესი ოსტატი.

ის იყო მთის არწივი, რომელმაც ბრძოლაში არ იცოდა შიში, იგი იყო უმაღლესი ტიპის ხელმძღვანელი.

თექვსმეტი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ამხანაგი **ლენინი** წავიდა ჩვენგან. ძველთა-ძველი კრემლის კედელთან, მავზოლეუმში განისვენებს **ლენინის** ცხედარი. ჩვენი ქვეყნისა და მთელი მსოფლიოს ყოველი კუთხიდან მილიონობით ადამიანები მოდიან, რათა შეხედონ მას, თავი დახარონ მისი ნეშტის წინაშე და სთქვან—**ლენინი** ცოცხლობს!

**ლენინი** ცოცხლობს დიადსა და უკვდავ ლენინურ მოძღვრებაში. იგი ცოცხლობს სოციალისტურ საზოგადოებაში, რომელიც **ლენინის** წინასწარდასახულობათა მიხედვით აშენდა ჩვენს ქვეყანაში.

**ლენინი** ცოცხლობს მის მიერ და **სტალინის** მიერ შექმნილი ბოლშევიკური პარტიის ძალასა და ძლიერებაში, მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბრძოლაში კაპიტალისტური მონობისაგან განთავისუფლებისათვის.

**ლენინი** იცოცხლებს საუკუნეებში, იცოცხლებს მილიონობით ადამიანთა გულში.

**ლენინი** ცოცხლობს იმ სახელოვან საქმეებში, რომელთაც საბჭოთა ხალხი ჰქმნის **ლენინის** საქმის დიდი განმგრძობი, ჩვენი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ **სტალინის** ხელმძღვანელობით. (**მქუხარე ტაში, ყველანი ფეხზე დგებიან. ოვაცია**).

## I

სოციალიზმის ქვეყანა იზრდება და ვითარდება კაპიტალისტური გარემოცვის პირობებში, ამ გარემოცვასთან მუდმივ ბრძოლაში.

სოციალიზმის სამყაროსა და კაპიტალისტურ სამყაროს შორის განსაკუთრებით გაფთრებული ბრძოლა სწარმოებს ეკონომიურ დარგში.

**ლენინი** გვასწავლიდა:

„შრომის ნაყოფიერება, საბოლოო ანგარიშით, ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე მთავარია ახალი საზოგადოებრივი წყობილების გამარჯვებისათვის... კაპიტალიზმი შეიძლება საბოლოოდ დამარცხებულ იქნას და საბოლოოდ იქნება დამარცხებული იმით, რომ სოციალიზმი ჰქმნის შრომის ახალ, გაცილებით უფრო მაღალ ნაყოფიერებას".

(ლენინი, ტ. XXIV, გვ. 342).

და კიდევ, **ლენინი** გვასწავლიდა:

1917 წლის ოქტომბერში მუშათა კლასმა პოლიტიკურად დაამარცხა კაპიტალიზმი და თავისი პოლიტიკური დიქტატურა დაამყარა. „მაგრამ ეს ცოტაა. ომი ულმობელია, იგი შეუბრალებელი სიმკვეთრით აყენებს საკითხს: ან დავიღუპოთ, ან **ეკონომიურადაც** დავეწიოთ მოწინავე ქვეყნებს და გავუსწროთ მათ... დავიღუპოთ ან მთელი ძალით გავეშუროთ წინ. ასეა დასმული საკითხი ისტორიის მიერ". (ლენინი, ტ. XXI, გვ. 191).

ამოცანა — დავეწიოთ და გავუსწროთ — წამოყენებული იყო ჯერ კიდევ 1917 წელს, იმ დროს, როცა რუსეთი, ეკონომიურად ისედაც ჩამორჩენილი ქვეყანა — იმპერიალისტური ომის შედეგად — უფსკრულის პირას იყო, ეკონომიური კრიზისის წინაშე იდგა.

მეფის რუსეთი ხომ საშინლად ჩამორჩენილი, ღატაკი და ნახევრადველური ქვეყანა იყო, საწარმოო იარაღებით მისი შეჭურვა ვერაფრით ვერ შეედრებოდა მრეწველობის მხრივ განვითარებულ ვერცერთ კაპიტალისტურ სახელმწიფოს.

ახასიათებდა რა მეფის რუსეთის წარმოუდგენელ, უაღრეს ჩამორჩენილობას, **ლენინი** ამბობდა, რომ XX საუკუნის რუსეთი დგას მონურ ამერიკაზე უფრო დაბლა, ე. ი. ამერიკაზე, სადაც ჯერ კიდევ ზანგების მონობა იყო.

მეფის რუსეთი, რომელსაც ტერიტორიით დედამიწის ერთი მეექვსედი ეკავა, ხოლო მოსახლეობის რაოდენობით — მესამე ადგილი მსოფლიოში, მსოფლიო წარმოების მხოლოდ 2,7 პროცენტ სამრეწველო პროდუქციას უშვებდა.

ამასთან უნდა დავძინოთ, რომ ეკონომიურად რუსეთი ინგლის-საფრანგეთის იმპერიალიზმის ნახევრადკოლონიური ქვეყანა იყო, ხოლო დონბასის ქვანახშირის, ბაქოს ნავთის მრეწველობას, შავი და ფერადი მეტალურგიის და სხვ. ნამდვილი ბატონ-პატრონები უცხოელი კაპიტალისტები იყვნენ.

მემამულეებსა და ბურჟუაზიას არა თუ არ შეეძლოთ ამ საშინელი ჩამორჩენილობის დაძლევა, არამედ, პირიქით, რუსეთი წლითი-წლობით სულ უფროდაუფრო ჩამორჩებოდა მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს.

ამოცანა — დავეწიოთ და გავუსწროთ ეკონომიურად ყველაზე უფრო მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს — ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა ხალხის დროშა და საბრძოლო პროგრამა გახდა. ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია — ასეთი იყო ამ ამოცანის გადაწყვეტის საშუალება.

მუშათა კლასმა, გლეხობამ, ინტელიგენციამ სასწაულებრივი გმირობა და თავდადება გამოიჩინეს სტალინური ხუთწლედების განმავლობაში. ამ ბრძოლამ თავისი შედეგები გამოიღო. **ლენინის** გარდაცვალების მეთექვსმეტე წელს სსრ კავშირი წარმოების ტექნიკისა და ჩვენი მრეწველობის ზრდის ტემპების მხრივ დაეწია და გაუსწრო მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებს. მაგრამ ეს ცოტაა.

პარტიის XVIII ყრილობაზე ამხანაგმა **სტალინმა** მთელი სიმწვავით დასვა ამოცანა — ეკონომიურად დავეწიოთ და გავუსწროთ მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებს; მან სთქვა:

„მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებს ჩვენ გავუსწარით წარმოების ტექნიკისა და მრეწველობის განვითარების ტემპების მხრივ. ეს ძალიან კარგია. მაგრამ ეს ცოტაა. საჭიროა გავუსწროთ მათ აგრეთვე ეკონომიურადაც. ჩვენ შეგვიძლია ამის გაკეთება, და კიდეც უნდა გავაკეთოთ. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიურად გავუსწრებთ მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებს, შეგვიძლია ჩვენ იმედი ვიქონიოთ, რომ ჩვენი ქვეყანა სულ სავსე იქნება მოხმარების საგნებით, ჩვენ გვექნება პროდუქტების სიუხვე, და შესაძლებლობა მოგვეცემა კომუნიზმის პირველი ფაზიდან გადავიდეთ მის მეორე ფაზაში".

ეკონომიურად უფრო მოწინავე ის ქვეყანაა, სადაც მოსახლეობის თვითეულ სულზე სამრეწველო წარმოება უფრო მეტი ოდენობით მოდის, რაც უფრო მეტი საქონელი მზადდება მოსახლეობის თვითეულ სულზე, მით უფრო მაღალია ქვეყნის სამეურნეო განვითარება.

და თუ ამ საზომით მივუდგებით ჩვენს მეურნეობას, უნდა აღვიაროთ, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ჩამოვრჩებით მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებს. სამრეწველო წარმოების მოცულობის მხრივ სსრ კავშირი მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებს ჩამორჩება, მაგრამ მოსახლეობის თვითეულ სულზე წარმოების დონის მხრივ ჩვენ ჩამოვრჩებით ამერიკის შეერთებულ შტატებს, გერმანიას, ინგლისს, საფრანგეთს.

პარტიის XVIII ყრილობამ ჩვენი ქვეყნის წინაშე ახალი ამოცანა დასახა — უახლოესი 10-15 წლის განმავლობაში ეკონომიურადაც დავეწიოთ და გავუსწროთ მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებს. ჩვენი ქვეყნის მშრომელთა მიერ ეს ამოცანა პარტიის, საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით, ამხანაგ **სტალინის** ხელმძღვანელობით გადაწყვეტილი იქნება.

რას ემყარება ჩვენი რწმენა?

1913 წელს მოსახლეობის თვითეულ სულზე სამრეწველო წარმოების მოცულობის მხრივ რუსეთი 20-ჯერ და უფრო მეტად ჩამორჩებოდა ამერიკას, 14-ჯერ ინგლისს, თითქმის 8-ჯერ — საფრანგეთს. სტალინური ხუთწლედების მანძილზე მსოფლიო წარმოებაში სსრ კავშირის სამრეწველო პროდუქციის ხვედრითი წონა, რომელიც 1913 წელს 2,7 პროცენტს უდრიდა, 1938 წელს 15,8 პროცენტამდე გაიზარდა.

ჩვენი ქვეყანა, როგორც **ლენინმა** სთქვა, „იმპერიალისტური ომითა და იმპერიალისტური მტაცებლების მიერ სიკვდილის პირას მიყვანილი" (ტ. XXII, გვ. 443) გამოვიდა ომიდან და 1927 წლისათვის აღადგინა წარმოების ომამდელი დონე. ამის შემდეგ 12-13 წლის განმავლობაში სსრ კავშირის მრეწველობა ერთიათად გაიზარდა. და ეს მაშინ, როცა კაპიტალისტური ქვეყნების მრეწველობა კვლავ ერთ ადგილს სტკეპნის ომამდელი დონის გარშემო. მთლიანად აღებულ კაპიტალისტურ მსოფლიოს პროდუქციის 10-ჯერ გასადიდებლად სულ ცოტა 80 წელი დასჭირდა.

ასეთია ბოლშევიკური ტემპები— ისინი ნათლად მოწმობენ ჩვენს უპირატესობას.

ასეთივე მდგომარეობაა შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპების მხრივაც. შრომის ნაყოფიერება სსრ კავშირში საშუალოდ 4-5-ჯერ უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე რომელიმე კაპიტალისტურ ქვეყანაში.

ბურჟუაზიულ მწერალ დენის ცნობებით, ამერიკაში მესაკუთრეთა ერთ პროცენტს ხელთ ეპყრა მთელი ნაციონალური სიმდიდრის 59 პროცენტი, ხოლო ინგლისში მესაკუთრეთა მთელი რაოდენობის 2 პროცენტზე ნაკლები ჰფლობდა მთელი ნაციონალური სიმდიდრის 64 პროცენტს.

რასაკვირველია — ამ ნაციონალური სიმდიდრის უდიდესი ნაწილი იფლანგებოდა და იფლანგება უნაყოფო მოხმარებაზე, ექსპლოატატორთა ზედაფენის ყოველგვარი ჟინის დასაკმაყოფილებლად.

საბჭოთა ქვეყანაში ექსპლოატატორული კლასები ლიკვიდირებული არიან. მთელი სახალხო შემოსავალი სოციალისტურ რეპროდუქციასა და მშრომელთა ცხოვრების მატერიალური დონის ამაღლებას ხმარდება. ესეც ჩვენი უპირატესობაა.

კაპიტალისტურ მეურნეობაში მოქმედებს ისეთი გამანადგურებელი ფაქტორი, როგორიც არის კრიზისები, რომლებიც სრულიად არ სჩვევია ჩვენს საბჭოთა მეურნეობას.

ერთმა ბურჟუაზიულმა ეკონომისტმა გამოიანგარიშა, რომ 1914-1918 წლების იმპერიალისტური ომის ხარჯები შეადგენდა 80 მილიარდზე მეტ ომამდელ დოლარს. ეს თანხა აღემატება ერთად აღებული ისეთი ქვეყნების მთელ ნაციონალურ სიმდიდრეს, როგორიც არის საფრანგეთი და იტალია.

მაგრამ კიდევ უფრო მეტ განადგურებას იწვევენ კაპიტალისტური კრიზისები. გამოანგარიშებულია, რომ 1929 წლიდან 1935 წლამდე კაპიტალისტურ მსოფლიოში თუჯი 250 მილიონი ტონით და ფოლადი 276 მილიონი ტონით ნაკლებია გამოდნობილი იმასთან შედარებით, რის მიღებაც შეიძლებოდა, ამ წლებშიც რომ შეენარჩუნებინათ წარმოების ის დონე, რომელიც 1929 წ. არსებობდა.

ეს იმას ნიშნავს, რომ კრიზისების წლებში დაკარგულია იმდენი ლითონი, რომ ეს ლითონი საკმარისი იქნებოდა 800 ათასი კილომეტრი რკინიგზების გასაყვანად მათი სრული გამართულობითურთ, ესე-იგი დედამიწის ზურგზე არსებული რკინიგზების ნახევარზე მეტის გასაყვანად.

ხოლო თუ ამას მივუმატებთ ათეულობით მილიონ უმუშევრებს, რომელნიც ჩამოაცილეს ნაყოფიერ შრომას, მაშინ ძნელი იქნება ეკონომიური კრიზისების მთელი დამანგრეველი ძალის არა თუ გამოანგარიშება, არამედ მისი წარმოდგენაც კი.

საბჭოთა წყობილება თავისუფალია კაპიტალისტური წყობილების ამ უკურნებელი სენისაგან. საბჭოთა წყობილებამ იცის მხოლოდ ერთი კანონზომიერება — სულ წინდაწინ სვლა. ეს ჩვენი კიდევ ერთი უპირატესობაა.

აღნიშნავდა რა ჩვენს შეუჩერებელ წინსვლას კაპიტალისტურ მსოფლიოსთან შედარებით, **ლენინი** ჯერ კიდევ 1922 წელს სწერდა:

„საზოგადოებრივი განვითარების სისწრაფე უკანასკნელ ხუთწლედში პირდაპირ ზღაპრულია, თუ მას ძველი საზომით გავზომავთ... მსოფლიო განვითარების ამ უდიდესი დაჩქარების ძირითადი მიზეზია ახალი ასობით და ასობით მილიონი ადამიანების ჩაბმა ამ განვითარებაში".

ადამიანები თვითონ ჰქმნიან თავიანთ ისტორიას, რაც უფრო მეტი ადამიანი შეგნებულად იღებს მონაწილეობას ამ პროცესში, მით უფროდაუფრო მაღალია საზოგადოებრივი განვითარების ტემპები.

მილიონობითა და მილიონობით საბჭოთა ადამიანები დაუღალავად წინ სწევენ სოციალისტურ ინდუსტრიალიზაციას, რადგან იგი — ინდუსტრიალიზაცია — დღითი-დღე ამაღლებს მშრომელთა მატერიალურ კეთილდღეობას. ესეც ჩვენი ერთ-ერთი უდიდესი უპირატესობაა კაპიტალისტური წყობილების წინაშე.

კაპიტალისტურ ინდუსტრიალიზაციას თან სდევდა აურაცხელი ტანჯვა მუშებისა და გლეხებისათვის. მარქსმა „კაპიტალში" აღწერა ინგლისში კაპიტალისტური მრეწველობის განვითარების საშინელი სურათი.

90 წლის მანძილზე, რაც სამრეწველო გადატრიალების შემდეგ გავიდა, ესე-იგი, იმ დროის განმავლობაში, რომელიც შეესაბამება ინგლისური რასის სამ თაობას, ბამბეულის მრეწველობამ მუშათა ცხრა თაობა შთანთქა.

მუშათა ცხედრების მთები, მათი ცოლებისა და ბავშვების ცრემლთა ზღვა — აი კაპიტალისტური ინდუსტრიალიზაციის ფასი — ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით.

სოციალიზმმა იხსნა ჩვენი ხალხი ამ არაადამიანური ტანჯვისა და გაჭირვებისაგან, რასთანაც ჩვეულებრივ დაკავშირებულია ინდუსტრიული განვითარება კაპიტალიზმის დროს. სოციალიზმმა შესაძლებლობა მოგვცა არა მარტო შეგვექმნა მძლავრი საწარმოო ძალები, არამედ აგრეთვე პირველად ისტორიაში ხალხის სამსახურში ჩააყენა მთლიანად ეს ძალები.

სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია ჩვენში ნიშნავდა უმუშევრობის ლიკვიდაციას, სამუშაო დღის შემცირებას, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის ზრდას. სწორედ ამიტომ საბჭოთა ხალხი აღსავსეა დაუცხრომელი სურვილით — პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით განახორციელოს ისტორიული ამოცანა — ეკონომიურადაც დავეწიოთ და გავუსწროთ მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებს.

მესამე სტალინური ხუთწლედი ნიშნავს უდიდეს ნაბიჯს წინ ამ ძირითადი ეკონომიური ამოცანის გადაჭრის გზაზე.

მაგრამ მესამე ხუთწლედის შესრულებისათვის საჭიროა ბოლშევიკურად ბრძოლა, საჭიროა თავდადებით მუშაობა. მესამე ხუთწლედის შესრულებისათვის ბრძოლა იმას ნიშნავს, რომ ყოველდღიურად, დღითი-დღე ვიბრძოლოთ 1940 წლის გეგმის შესრულებისათვის, მრეწველობის ყოველი დარგის მიერ, ყოველი საწარმოსა და კოლმეურნეობის მიერ გეგმის შესრულებისათვის.

ამჟამად მეინსტრუმენტეთა თაოსნობით დაწყებული სოციალისტური შეჯიბრება შრომის ნაყოფიერების გადიდების დარგში ხუთწლიანი გეგმის ოთხ წელიწადში შესრულებისათვის აშკარავებს ჩვენს უდიდეს შესაძლებლობებს. მთელი საქმე იმაშია, რომ ბოლომდე გამოვიყენოთ ეს შესაძლებლობანი, არა მარტო გამოვუშვათ მეტი პროდუქცია, არამედ ავამაღლოთ მისი ხარისხიც; დავზოგოთ ნედლეული, ელექტროენერგია.

მესამე სტალინური ხუთწლედი უთუოდ იქნება შესრულებული, და მაშინ წარმოების დონეს ომამდელთან შედარებით დაახლოებით 15-ჯერ ავამაღლებთ. ეს კი ძირითადი ეკონომიური ამოცანის გადაწყვეტის თვალსაზრისით იმას მოასწავებს, რომ სსრ კავშირი მოსახლეობის თითო სულზე სამრეწველო წარმოების ოდენობის მხრივ საფრანგეთს გაუსწრებს და ინგლისისა და გერმანიის დონეს მიუახლოვდება.

მართალია, ამერიკისაგან ჯერ კიდევ ორჯერ და ცოტა მეტით ჩამორჩენილი ვიქნებით, მაგრამ ჩამორჩენილი ვიქნებით მხოლოდ ორჯერ და არა 20-ჯერ.

გადაწყვეტა ძირითადი ეკონომიური ამოცანისა — დავეწიოთ და გავუსწროთ მოწინავე ქვეყნებს—ჩვენ არ შეგვიძლია მესამე ხუთწლედის ფარგლებში. ამ ამოცანის გადასაწყვეტად საჭიროა 10-15 წლის ვადა, მაგრამ ეს ამოცანა რომ გადაწყვეტილი იქნება, ამაში ჩვენ ეჭვი არ გვეპარება. ბოლშევიკური პარტიის მიერ დასახული, **სტალინის** მიერ დასახული გეგმა, — ამბობს ჩვენი ხალხი, — არ შეიძლება არ შესრულდეს, იგი უთუოდ შესრულდება (**მქუხარე ტაში**).

## II

ამხანაგმა **ლენინმა** პარტიას უანდერძა მთელი ძალღონით განამტკიცოს მუშებისა და გლეხების კავშირი. მთლიანი კოლექტივიზაცია და ამის საფუძველზე კულაკობის როგორც კლასის ლიკვიდაცია მოასწავებს მუშათა და გლეხთა კავშირის ურღვევობის საკითხის უაღრესად რადიკალურ გადაწყვეტას. ამ ამოცანის გადაწყვეტა ისეთ ულრმეს რევოლუციურ გადატრიალებას ნიშნავდა, რომელიც „თავისი შედეგებით 1917 წლის ოქტომბერში მომხდარი რევოლუციური გადატრიალების" თანაბარი მნიშვნელობისა იყო (საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი).

საკოლმეურნეო წყობილებამ აღნიშნა თავისი არსებობის პირველი ათი წლის თავი. ისტორიული განვითარების თვალსაზრისით ეს დრო დიდი არაა. მაგრამ რაოდენ გიგანტური ცვლილებანი მოხდა საბჭოთა სოფელში, როგორ იცვალა სახე გლეხობამ!

ამჟამად საჭირო არ არის მოვიყვანოთ საერთო ცნობები ჩვენი კოლმეურნეობების გამარჯვების შესახებ, მათი მოწინავე ტექნიკის, ენერგიით აღჭურვილობისა და სხვათა შესახებ.

მაგრამ მე მინდა მოგაგონოთ ზოგიერთი ფაქტი, რომლებიც მოწმობენ იმას, თუ რა ჯოჯოხეთიდან გამოიყვანეს ან, უკეთ რომ ვთქვათ, რა ჯოჯოხეთს გამოსტაცეს გლეხობა ჩვენმა პარტიამ, საბჭოთა ხელისუფლებამ, **ლენინმა** და **სტალინმა.** მინდა დაგანახვოთ ეს ვორონეჟის ოლქის ორი სოფლის — ნოვო-ჟივოტინნოესა და მოხოვატკის მაგალითით. ეს სოფლები ინტერესს წარმოადგენენ იმიტომ, რომ კადეტმა შინგარიოვმა მათი აღწერა დაგვიტოვა თავის წიგნში „გადაშენების გზაზე მდგომი სოფელი". თავისთავად ცხადია, ეს სოფლები მას არ აღუწერია და არ შეეძლო აღეწერა იმაზე უარესად, ვიდრე ისინი ნამდვილად იყვნენ.

მართალია, ამ სოფლების პირდაპირ საშინელი სიღატაკის ნამდვილი მიზეზები შინგარიოვს არ ჩამოუმჟღავნებია. ეს მიზეზი კი მეტად მარტივი იყო. დასახელებული სოფლების 170 გლეხკაცის ოჯახს რევოლუციამდე 350 ჰექტარი სახნავი მიწა ჰქონდა, ანუ მოსახლეობის თითო სულზე 0,3 ჰექტარი მოდიოდა, მეზობლად კი ერთი მემამულე 10 ათას ჰექტარ მიწას ჰფლობდა, ესე იგი, 30-ჯერ მეტს, ვიდრე 170 გლეხკაცის ოჯახი.

გლეხები სისტემატური შიმშილის პირობებში ცხოვრობდნენ! ამ სოფლების გლეხურ მეურნეობათა მეტ ნაწილს თავისი პური არა ჰყოფნიდა ახალ მოსავლამდე, ერთი მეოთხედი ნაწილი კი მთელი წლის განმავლობაში ნაყიდი პურით ცხოვრობდა.

მრავალ გლეხს ერთნახევარ წლობით წვენიანი არ ღირსებია. შაქრის მოხმარება წელიწადში გირვანქაზე ნაკლებს შეადგენდა სულზე, საპონის მოხმარება — გირვანქანახევარს წელიწადში, ნავთის—ერთნახევარ-ორ გირვანქას სულზე წელიწადში.

მთელ რიგ ოჯახებს არა ჰქონდათ კომბოსტო, კიტრი, ხორცი, მრავალ ოჯახს არა ჰქონდა რძე მთელი წლის განმავლობაში. ამ სოფლების მოსახლეობა ქრონიკულად შიმშილობდა და გადაშენების გზაზე იდგა. 10 წლის მანძილზე 5 წელს სიკვდილიანობა აღემატებოდა შობადობას, საშუალოდ კი ყოველ ათას მცხოვრებზე წლის განმავლობაში მატება სამ კაცს შეადგენდა. სწორედ ეს არის გადაშენება. წერა-კითხვის მცოდნე მამაკაცი ერთ სოფელში იყო 32 პროცენტი, მეორეში — 16 პროცენტი; წერა-კითხვის მცოდნე ქალი ერთ სოფელში იყო 2 პროცენტი, მეორეში წერა-კითხვის მცოდნე სულ არ იყო.

და აი ეს ღატაკური მეურნეობა იბეგრებოდა მრავალი გამოსაღებითა და გადასახადით: სახაზინო, საადგილმამულო, საგუბერნიო და სამაზრო მიწის გამოსაღებით, სასოფლო გამოსაღებით, სადაზღვევო გადასახდელით. ბევრი მეურნეობა ვერ ახერხებდა 3-4 მანეთი ხარჯის გადახდას. თითო კომლზე მარტო ნარჩენი 24 მანეთამდე და 50 კაპიკამდე ირიცხებოდა.

და რაც უფრო გადიოდა დრო, მით უფრო უარესი იყო. პირველი გამოკვლევიდან გასული ექვსი წლის შემდეგ შინგარიოვი იუწყება — „უდავოდ შეიძლება ვამტკიცოთ, რომ მოხდა გაუარესება, და სერიოზული გაუარესებაც".

იმპერიალისტურმა ომმა კიდევ უფრო მეტი გაპარტახება გამოიწვია. უცხენო კომლების რაოდენობა 38 პროცენტიდან 47 პროცენტამდე ავიდა, ყოველგვარ პირუტყვს მოკლებულ მეურნეობათა რიცხვი 3 პროცენტიდან 19 პროცენტამდე გაიზარდა და სხვ.

ეს ხომ ჯოჯოხეთი იყო, და არა ცხოვრება!

ეს სოფლები კი გამონაკლისს როდი შეადგენდნენ; 65 პროცენტი ღარიბი გლეხი, 30 პროცენტი უცხენო, 15 პროცენტი უნათესო, 34 პროცენტი უინვენტარო გლეხური მეურნეობა — ასეთი იყო ქვეყნის საერთო სურათი.

გლეხს გარდუვალად მოელოდა პერსპექტივა „ნელი, მაგრამ ტანჯვა-წვალებით გადაშენებისა. გლეხი დაყვანილი იყო მათხოვრის ცხოვრების დონემდე. მისი ბინა და ნახირის ბინა ერთი იყო; მას ეცვა ძონძები, იკვებებოდა ბალახ-ბულახით; გლეხი თავის ნადელს გაურბოდა, რაწამსაც კი დაინახავდა გასაქცევ ადგილს, თავს დასახსნელად სახუჟდელსაც კი აძლევდა იმას, ვინც დასთანხმდებოდა მიეღო მისგან ნადელი, რომლის გადასახადები მის შემოსავალს სჭარბობდა.

გლეხები ქრონიკულად შიმშილობდნენ და ათეულ ათასობით იხოცებოდნენ შიმშილისა და სხვადასხვა ეპიდემიებისაგან მოუსავლიანობის დროს, რაც სულ უფროდაუფრო ხშირად მეორდებოდა", — ასე სწერდა **ლენინი** (თხზ. კრებ. ტომი IV. გვ. 101-102).

აი რატომ იყო, რომ, როცა გლეხობის წინაშე დადგა საკითხი — ან დაღუპულიყო, ან მუშათა კლასისათვის მიენდო თავისი ბედი, — გლეხობა მუშათა კლასს გაჰყვა. ოქტომბრის რევოლუციამ კაბალისა და სიღატაკისაგან იხსნა გლეხობა. გლეხებმა საბჭოთა ხელისუფლებისაგან 150 მილიონზე მეტი დესეტინა მიწა მიიღეს.

მთელ გლეხობასთან ერთად სოფელ ნოვო-ჟივოტინოეს და მოხოვატკას გლეხებმაც მიიღეს მიწა — ახლა მოსახლეობის თვითეულ სულზე შვიდნახევარჯერ მეტი მიწა მოდის.

საბჭოთა ხელისუფლებამ სოფელს უდიდესი დახმარება აღმოუჩინა სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალთა აღდგენისა და განვითარების საქმეში.

მაგრამ ლენინ-სტალინის პარტია ყოველთვის, გამუდმებით და პირდაპირ ეუბნებოდა გლეხობას, რომ მის მიერ მემამულურ-კაპიტალისტურ წყობილებასთან კავშირის გაწყვეტა მხოლოდ პირველი ნაბიჯია საუკუნეობრივი სიღატაკისაგან განთავისუფლების გზაზე, შეძლებული, კულტურული ცხოვრების გზაზე. **ლენინი** ამბობდა:

„თუ ჩვენ ძველებურად დავრჩებით წვრილ მეურნეობებში, თუნდაც თავისუფალ მოქალაქეებად თავისუფალ მიწაზე, ჩვენ მაინც აუცილებელი დაღუპვა მოგველის"... (ლენინი, ტ. XX, გვ. 417).

ამხანაგი **სტალინი** გვასწავლიდა:

„იმისათვის, რომ საბოლოოდ გავთავისუფლდეთ ძველი ხუნდებისაგან, საკმარისი არ არის ექსპლოატატორების მარტო განადგურება. ამისათვის საჭიროა კიდევ ახალი ცხოვრების აგება, ისეთი ცხოვრების აგება, რომელიც საშუალებას მისცემს მშრომელ გლეხობას გააუმჯობესოს თავისი მატერიალური და კულტურული მდგომარეობა და ამაღლდეს დღითი-დღე, წლიდან-წლამდე. ამისათვის საჭიროა სოფელში დავამყაროთ ახალი წყობილება, საკოლმეურნეო წყობილება" (სტალინი, „ლენინიზმის საკითხები", გვ. 623).

მსხვილი სოციალისტური მრეწველობა გიგანტური ტემპებით მიიწევდა წინ. ერთპიროვნული, დაქუცმაცებული გლეხური მეურნეობა — სოციალისტური მრეწველობის ტემპებთან შედარებით—ძლივძლივობით მიჩანჩალებდა. 1926-1929 წლებში სამრეწველო პროდუქციის მატების საშუალო წლიური ტემპები შეადგენდნენ 23,7 პროცენტს, ხოლო სოფლის მეურნეობისა — დაახლოებით ერთ პროცენტს. ეს იმას ნიშნავს, რომ ერთპიროვნული მეურნეობა მრავალჯერ უფრო ნელი ტემპით ვითარდებოდა, ვიდრე მსხვილი სოციალისტური მრეწველობა, და მძიმე ტვირთად ება ფეხზე სოციალისტურ მეურნეობას.

გლეხურ მეურნეობათა დიდი უმრავლესობის ტექნიკური შეიარაღება მეტად უბადრუკი იყო. ხოლო მექანიზება უწვრილესი გლეხური მეურნეობებისა, რომელნიც ხშირად ათობით პაწაწა ნაკვეთებისაგან შესდგებოდნენ, სრულიად განუხორციელებელი ამოცანა იყო.

გლეხური მეურნეობა ნაწილდებოდა და ჭუცმაცდებოდა, სულ უფროდაუფრო წვრილი ხდებოდა. ოქტომბრის დღეებიდან მეურნეობათა რაოდენობა 16-დან 25 მილიონამდე გაიზარდა. ამის შედეგად კატასტროფულად ეცემოდა სოფლის მეურნეობის საქონლიანობა. — 1927 წლისათვის გლეხური მეურნეობა სასაქონლო პურს იძლეოდა თავისი საერთო პროდუქციის მხოლოდ დაახლოებით 12 პროცენტს.

ამ დროისთვის „თუმცა მთლიანად სოფლის მეურნეობამ კიდეც გადააჭარბა ომამდელ დონეს, მაგრამ მისი მთავარი დარგის — მარცვლეულის მეურნეობის — საერთო პროდუქცია შეადგენდა ომამდელი დონის მხოლოდ 91 პროცენტს, ხოლო მარცვლეული პროდუქციის სასაქონლო ნაწილი, რომელიც სოფლიდან გასაყიდად გაჰქონდათ ქალაქების მოსამარაგებლად, ძლივს აღწევდა ომამდელი დონის 37 პროცენტს; ამასთან ყველა მონაცემი მოწმობდა იმას, რომ არის მარცვლეული სასაქონლო პროდუქციის შემდგომი დაცემის საშიშროება" („საკ. კ. პ. (ბ) ისტორია", გვ. 348).

წვრილი, დაქუცმაცებული, ინდივიდუალური გლეხური მეურნეობა მძიმე ტვირთს წარმოადგენდა სოციალისტური მრეწველობისათვის და ამავე დროს თავისთვისაც მას არავითარი პერსპექტივები არ გააჩნდა; ამ მეურნეობით გლეხი განწირული იყო ნახევრადმათხოვრული ცხოვრებისათვის.

ამგვარად, მსხვილ მექანიზებულ კოლექტიურ მეურნეობაზე გადასვლის ისტორიული აუცილებლობა გვიკარნახებდა, ერთის მხრივ, მთლიანად სოციალისტური მშენებლობის სასიცოცხლო ინტერესები, მეორე მხრივ კი — თვით გლეხის სასიცოცხლო ინტერესები.

მართალია, იყო კიდევ ერთი გზა, რომლისკენაც გლეხობას ეწეოდნენ ტროცკისტ - ბუხარინელი კაპიტულანტები, — ეს იყო მეურნეობათა კულაკური, კაპიტალისტური გამსხვილების გზა. მაგრამ გლეხობამ ერთხელ, სტოლიპინშჩინის დროს, ეს გზა უკვე გამოსცადა და იცოდა, რომ ეს გზა ნიშნავს მიწების გადასვლას საშუალო გლეხების ხელიდან კულაკების ხელში, გლეხობის ძირითადი მასების გაპარტახებას, შიმშილსა და სიღატაკეში მშრომელთა ჩაგდებას, საბჭოთა პირობებში კი, გარდა ამისა, კაპიტალიზმის რესტავრაციასაც.

საარსებო ეკონომიურმა აუცილებლობამ უკარნახა გლეხობას კოლექტიურ მეურნეობაზე გადასვლა.

დავუბრუნდეთ სოფელ ნოვო-ჟივოტინოესა და მოხოვატკას, რა მის[illegible]

---

*) 1937 წლის ცნობები.

**) [illegible]

(დასასრული მე-3 გვ.)

# ლენინის ანდერძი განხორციელებულია

## ამხ. ა. ს. შჩერბაკოვის მოხსენების დასასრული

მარება 10-ჯერ და კიდევ მეტად გაიზარდა, შაქრისა (კონფეტიანად) — 15-ჯერ, თევზისა—6-ჯერ და კიდევ მეტად, რძისა—სამჯერ, ბოსტნეული, ბაღჩეული ყოველ ოჯახს მოეპოვება და ა. შ. და სხვ. მოხმარებაში გაჩნდა ისეთი პროდუქტები, როგორიცაა ნამცხვარი, ხილი და სხვა—ის, რასაც გლეხები წინათ სიზმარშიც კი ვერ ნახავდნენ.

წინათ ფეხსაცმელი უმთავრესად იყო ქალამანი, ახლა კი—ჩექმა, დაბალყელიანი წაღა; კოლმეურნეები, შინ ნაქსოვი ტანისამოსის ნაცვლად, კოსტუმებს ატარებენ; მთელ რიგ კოლმეურნე ქალებს აქვთ აბრეშუმისა და ატლასის კაბები.

ეს მონაცემები კოლმეურნეობათა სამეურნეო ზრდის შესახებ მით უფრო საინტერესოა, რომ აღნიშნული კოლმეურნეობები სრულიადაც არ არიან მოწინავენი. კიდევ მეტი, ამ კოლმეურნეობებში არის არსებითი ნაკლოვანებანი, რომელთა აღმოფხვრის შემდეგ კოლმეურნეთა კეთილდღეობის ზრდა გაცილებით უფრო სწრაფი იქნება.

ამ სოფლების კულტურა ისე განსხვავდება იმისაგან, რაც რევოლუციამდე იყო, როგორც ცა დედამიწისაგან.

სოფელ ნოვო-ჟივოტინოეში არის სკოლა-ათწლედი ინტერნატითურთ, მუსიკალური სასწავლებელი, და კოლმეურნეთა შვილები ჩაიკოვსკისა და ბახს სწავლობენ. არის მოძრავი კინო, რადიო, ბიბლიოთეკა, ელექტროსადგური, ამბულატორია, აფთიაქი, სამშობიარო სახლი, ბაგა, საბავშვო ბაღი. ბევრი ახალგაზრდა კოლმეურნე ქალი და ვაჟი უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობს, არც თუ ცოტა ინტელიგენტი გამოსულა ამ კოლმეურნეობებიდან. მაგრამ განა ყველაფერს ჩამოსთვლის კაცი, რაც გლეხებმა საკოლმეურნეო წყობილებისაგან მიიღეს? ახორციელებენ რა **ლენინის** ანდერძს, პარტიამ, საბჭოთა ხელისუფლებამ, ამხანაგმა **სტალინმა** გლეხობისათვის უზრუნველჰყვეს ნამდვილი ადამიანური, შეძლებული და კულტურული ცხოვრება. **(ტაში).**

და ეს ხომ დასაწყისია მხოლოდ! სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენამ დაგვანახვა, რის მიღწევა შეუძლიათ კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეებს.

კოლმეურნე სერგეევამ ჰექტარზე აიღო 101 ცენტნერი ხორბალი. კოლმეურნე იუტკინამ ჰექტარზე მოიყვანა 1.217 ცენტნერი კარტოფილი—მოსავალი, რომლის მსგავსი არ ახსოვს მიწათმოქმედების ისტორიას. კოლმეურნე ბარანოვსკაიამ ჰექტარზე მიიღო თითქმის 22 ცენტნერი სელის ბოჭკო. კოლმეურნე ჩალოვამ ჰექტარზე აიღო 1.037 ცენტნერი ჭარხალი.

რამდენი კოლმეურნე და კოლმეურნე ქალი იღებს 5-6 ათას ლიტრ რძეს თითო ძროხაზე! უკვე არის მთელი რაიონები, რომლებიც სამი ათას ლიტრ რძეს იღებენ თითო ძროხაზე.

მასობრივად გლეხურ მეურნეობას ჯერ კიდევ არ მიუღწევია ასეთი სარეკორდო მოსავლისათვის. ერთი რამ ცხადია—იმ პირობით, თუ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები უკეთ, უფრო კონკრეტულად გაუწევენ ხელმძღვანელობას სოფლის მეურნეობას, თუ შესძლებენ იმ უდიდესი რეზერვების გამოყენებას, რომლებსაც სტახანოველები ამჟღავნებენ — სოციალისტური, საკოლმეურნეო მეურნეობა ზრდის სასწაულებს გვიჩვენებს, უზრუნველჰყოფს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვეს სახელმწიფოსთვისაც და თავისთვისაც.

გლეხობა კი, რომელიც წინათ ამოწყდომის პირას იმყოფებოდა, რომელმაც თავი დააღწია საუკუნოებრივ სიღატაკეს, რომელიც საკოლმეურნეო წყობილების დროს ნამდვილ ადამიანურ ცხოვრებამდე ამაღლდა, არასოდეს არ გადაუხვევს ამ გზას, დასცხებს, სასიკვდილოდ დასცხებს ყველას, ვინც კი შეეცდება წაართვას მას ეს საკოლმეურნეო ცხოვრება, **ლენინის** ხელმძღვანელობით, **სტალინის** ხელმძღვანელობით ბრძოლებში მოპოვებული. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

### III

კომუნიზმის შენება იმას ნიშნავს, რომ არა მარტო წინ წასწიო მრეწველობა და სოფლის მეურნეობა, გაადიდო შრომის ნაყოფიერება, შექმნა პროდუქტების სიუხვე. კომუნიზმის შენება იმას ნიშნავს, რომ გარდაჰქმნა ადამიანები, განახორციელო მათი კომუნისტური აღზრდა. ჩვენი ქვეყნის მშრომელებს დასჭირდათ დევგმირული ნაბიჯებით შეევსოთ ის, რაც მათ დააკლდათ დაბეჩავებული და შავბნელი არსებობის ასეული წლების განმავლობაში. კულტურის განვითარების ტემპების თვალსაზრისით ჩვენს ქვეყანას ისტორიაში ბადალი არ მოეპოვება.

რევოლუციის მტრები ბოროტად ხითხითებდნენ—ბოლშევიკებმა წამოიწყეს გიჟური საქმე—უკულტურო ქვეყანაში სოციალიზმის დანერგვაო. მაგრამ მტრები ანგარიშში შესცდნენ. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციით განხორციელებულმა პოლიტიკურმა და ეკონომიურმა გადატრიალებამ მძლავრი წანამძღვარი შექმნა კულტურული გადატრიალებისათვისაც, ნამდვილი კულტურული რევოლუციისათვის. ახლა ეს კულტურული რევოლუცია ხორციელდება ჩვენს ქვეყანაში, ხორციელდება როგორც დიადი სოციალისტური გარდაქმნის შემადგენელი ნაწილი.

ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში უფრო მეტი მოსწავლეა, ვიდრე ევროპის ყველა ქვეყანაში ერთად. მილიონზე მეტი მასწავლებელი და მეცნიერი მუშაკი ზრდის მოზარდ თაობას, 70 ათასი ბიბლიოთეკა არსებობს მთელ ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ ეს საკმარისი არ არის იმისათვის რომ დაკმაყოფილებულ იქნან რევოლუციის წლებში შობილი, ახალი მკითხველნი, რომელნიც ხარბად ეწაფებიან წიგნებს. უკანასკნელი აღწერის ცნობებიდან სჩანს, რომ ჩვენში 13 მილიონზე მეტ კაცს დამთავრებული საშუალო განათლება აქვს და მილიონზე მეტს კაცს—უმაღლესი განათლება. საშუალო განათლების მქონე პირთა მთელი რაოდენობიდან ეს განათლება სულ ცოტა 85 პროცენტმა მიიღო საბჭოთა ხელისუფლების დროს, ხოლო უმაღლესი განათლების მქონე პირთა მთელი რაოდენობიდან სულ ცოტა 70 პროცენტმა ეს განათლება საბჭოთა ხელისუფლების დროს მიიღო.

აი ხალხური ინტელიგენცია, საბჭოთა ხელისუფლების მიერ განსწავლული და აღზრდილი!

აი თავისი სოციალისტური ინტელიგენციის შესაქმნელად პარტიის მიერ აღებული ხაზის შესანიშნავი ნაყოფი!

პარტიის XVIII ყრილობის შემდეგ, ხალხური ინტელიგენციის როლის შესახებ ამხანაგ **სტალინის** გამოსვლის შემდეგ სოციალისტური ინტელიგენციის კადრების ზრდა კიდევ უფრო სწრაფად წარიმართება.

მილიონ ცალობით გამოდის კაცობრიობის უდიდესი ადამიანების **— მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის** შრომები, ლიტერატურის და მეცნიერებისა და ცოდნის ყველა დარგის კლასიკოსთა ნაწარმოებნი.

კომუნისტური შეგნება იჭედება არა მარტო სკოლებში, წრეებში, კლუბებში, თეატრებსა და კინოებში, არა მარტო წიგნებისა და გაზეთების საშუალებით, იგი იჭედება კომუნიზმისათვის ბრძოლაში, თვითონ ჩვენი ცხოვრების საშუალებით ხდება ადამიანთა გარდაქმნა, ხელახალი აღზრდა. თვითონ ეს ცხოვრება მშრომელთა საუკეთესო მასწავლებელი.

მინდა რამდენიმე მაგალითით ცხადვყო, თუ როგორ გაიზარდა საბჭოთა ადამიანის შეგნება, თუ რა დიდად შეიცვალა მის, საბჭოთა ადამიანის მიერ ძველის შეგნება.

ქალისადმი დამოკიდებულება **ლენინს** ყოველთვის მიაჩნდა ნამდვილი კულტურულობის უტყუარ ნიშნად, ცივილიზაციის ჭეშმარიტ, და არა მოჩვენებითს, ნიშნად.

სოციალიზმმა არა თუ გამოაცხადა ქალის განთავისუფლება, მან კიდევაც შეჰქმნა პირობები შემოქმედებითს მუშაობაში ქალის ფართო მონაწილეობისათვის. კოლმეურნეობებმა გაანთავისუფლეს გლეხი ქალი ეკონომიური დამოკიდებულებისაგან. ქალებმა დაამტკიცეს, თუ რა დიდად შემცდარია წარმოდგენა, თითქოს ზოგიერთი პროფესია სპეციფიკურად მამაკაცთა პროფესია იყოს.

ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში ერთი-ორად მეტი ქალი სწავლობს, ვიდრე ევროპის ყველა ქვეყანაში. ამასწინათ დამთავრებულმა მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებმა სახელმწიფოს მმართველობის საჭესთან დააყენა 422 ათასზე მეტი ქალი, დეპუტატთა მთელი შემადგენლობის თითქმის 33 პროცენტი.

ქალისადმი ახალი დამოკიდებულება სოციალისტური კულტურის უდიდესი მონაპოვარია და სოციალისტური თვითშეგნების ზრდას მოწმობს. ჩვენს ხალხს უფლება აქვს ასეთი გამარჯვებით იამაყოს.

ან აიღეთ ნაციონალური საკითხი.

საბჭოთა მოქალაქეების ახალგაზრდა თაობას წარმოდგენაც კი არა აქვს ნაციონალური შუღლის საშინელ მოვლენებზე, გამანადგურებელ რბევა-აწიოკებაზე, რასაც პროვოკაციულად აწყობდნენ მემამულეები და კაპიტალისტები და რასაც ხშირად მოსდევდა მთელი ქალაქების ფიზიკური მოსპობა, როგორც ეს იყო ქალაქ შუშაში—ამიერკავკასიაში.

ახლა კი—კომუნიზმი იქცა მიზნად, რომელიც ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ყველა ხალხს აერთიანებს.

ცალკეულ ხალხთა მრავალსაუკუნოვანი კულტურული მემკვიდრეობა ყველა საბჭოთა ადამიანის კუთვნილება ხდება. ნაციონალური ხელოვნების დეკადები, დიდი პოეტების—რუს, უკრაინელ, ქართველ, სომეხ, ოს და სხვა ხალხთა დიდი პოეტების იუბილეები საერთო-სახალხო დღესასწაულებად იქცევიან, ხოლო ნაციონალური გმირები — მთელი საბჭოთა კავშირის გმირებად.

ასეთია ძალა სოციალისტური კულტურისა, რომელიც ერთმანეთთან აახლოვებს სხვადასხვა ეროვნების მშრომელთ. განა ეს სოციალისტური შეგნების ზრდის მაჩვენებელი არ არის!

ხოლო რა გადატრიალება უნდა მოეხდინა საბჭოთა ხელისუფლებას გლეხობის შეგნებაში, რომ იგი — გლეხი, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში შეეჩვია თავისი საკუთარი ნაკვეთის ჩიჩქნას, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში მიჯაჭვული იყო თავისი მიწის ნაკვეთზე,— წაეყვანა საერთო კოლექტიური შრომის გზით!

მაგრამ, — როგორც ამხანაგმა **მოლოტოვმა** სთქვა—„არ შეიძლება არ აღვიაროთ, რომ ფართო მასების საზოგადოებრივ-კულტურული დონე ჯერ კიდევ სრულიად არასაკმაოდ არის ამაღლებული, თუ კომუნიზმის პერსპექტივების თვალსაზრისით ვიმსჯელებთ“. ხოლო ქვეყანას, რომელიც კომუნიზმს აშენებს, მხოლოდ ასეთი პერსპექტივების თვალსაზრისით შეუძლია იმსჯელოს, ჩვენთვის არავითარი სხვა საზომი არ ვარგა. ეს იმას ნიშნავს, რომ მიღწეული შედეგი ჩვენ ვერ დაგვაკმაყოფილებს.

მშრომელთა კომუნისტური აღზრდისა და ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის ნაშთების დაძლევის ამოცანა პარტიის XVIII ყრილობის გადაწყვეტილებებში დასმულია როგორც ერთერთი ყველაზე გადამწყვეტი ამოცანა.

კაპიტალიზმის ნაშთები ჯერ კიდევ დარჩენილია ადამიანთა შეგნებაში. ადამიანთა შეგნება თავის განვითარებაში ჩამორჩება მათს ფაქტიურ მდგომარეობას. კაპიტალიზმი მისი დაღუპვის შემდეგაც კი წინააღმდეგობას უწევს ახალ წყობილებას მილიონების იმ ჩვეულებათა ძალით, რომლებიც დანერგილია საუკუნეობრივი მუშაობით პატრონის სასარგებლოდ. კაპიტალისტური გარემოცვა ცდილობს ზურგი გაუმაგროს ამ ძველ, დრომოჭმულ შეხედულებათა ნაშთებს.

საწარმოებშიც, კოლმეურნეობებშიც ჯერ კიდევ ცოტანი როდი არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც ებღაუჭებიან წვრილ-მესაკუთრულ მორალს—„ჯერ თავო და თავო, მერე ცოლო და შვილო“, „რაც შეიძლება მეტი ავქაფო, მერე კი თუნდაც ქვა ქვაზე ნუ დარჩენილა“; ჯერ კიდევ ცოტანი როდი არიან მუქთამჭამელნი, რომელნიც ცდილობენ რაც შეიძლება მეტი წაჰგლიჯონ სახელმწიფოს, კოლმეურნეობას, თვითონ არაფერი აკეთონ, სხვათა შრომის ხარჯზე იცხოვრონ.

სტალინურ კონსტიტუციაში შრომა მიჩნეულია თვითეული მოქალაქის მოვალეობად. ჩვენი პრინციპია — „ვინც არ მუშაობს, ის არა სჭამს“. მაგრამ ჯერ კიდევ არიან ადამიანები, რომელნიც ფეხქვეშ სთელავენ ამ პრინციპებს. საწარმოებში ესენი არიან ზარმაცები, წამგლეჯები და ფრენიები, რომელნიც დიდ მანეთს მისდევენ, შრომის დისციპლინის დამრღვევნი.

კოლმეურნეობებში ესენი არიან გლეხები, რომელნიც კოლმეურნის სახელს ეფარებიან, მხოლოდ და მხოლოდ პირადი გამორჩომის მიზნით იყენებენ კოლმეურნეობას, უგულებელჰყოფენ საზოგადოებრივ შრომას, უზომოდ ჰბერავენ პირად მეურნეობას, ჩარჩობას ეწევიან.

ასეთ ელემენტებს ებრძვიან პატიოსანი მუშები და კოლმეურნეები და, რაც უფრო მეტი ხანი გადის, უფრო და უფრო გადაჭრით ებრძვიან.

მაგრამ კომუნისტური აღზრდის ამოცანა მშრომელთა ჩამორჩენილი ნაწილის მარტო აღზრდით როდი განისაზღვრება.

მილიონობით მოიპოვებიან ადამიანები, რომელნიც პატიოსნად მუშაობენ, მზად არიან სიცოცხლე შესწირონ სოციალიზმის საქმეს, მაგრამ ბევრ მათგანს შეგნებაში ჯერ კიდევ დარჩა წარსულის კვალი, კაპიტალიზმის თანდაყოლილი ნიშნები. მოიგონეთ თუნდაც ისეთი ფაქტი, რომელიც აწერილი აქვს შოლოხოვს „გატეხილ ყამირში“. კოლმეურნე მაიდანიკოვი, წარსულში საშუალო გლეხი, შეგნებულად ეკიდება კოლმეურნეობას, მაგრამ მასაც როგორი ბრძოლა უხდება კერძომესაკუთრულ წარსულთან.

...აი ვუახლოვდები ცხენთა საბმულებს, იქ არიან სხვისი ცხენები—მე აინუნშიც არაფერი მომდის, მაგრამ როგორც კი ჩემ ცხენთან მივალ, თვალს მოვავლებ მის ზურგს... მის დადაღულ მარცხენა ყურს, და აჰა გულს სევდა შემომაწვება,—იმ წუთში იგი თითქოს ცოლზე უფრო ძვირფასია ჩემთვის. და სულ ვცდილობ უფრო ნოყიერი, უფრო მსუბუქი, უფრო წმინდა თივა დავუყარო მას...

წარსულის ჩვევები, ნაშთები და ცრურწმენა ჯერ კიდევ თავს იჩენს შრომისადმი, საზოგადოებრივი საკუთრებისადმი დამოკიდებულებაში, საზოგადოებრივი და პირადი ინტერესების დაპირისპირებაში.

და რაოდენ დიდიც უნდა იყოს ჩვენი მიღწევები, რაც უნდა სწრაფად იზრდებოდნენ მოწინავე საბჭოთა ადამიანების კადრები, — მილიონობით და მილიონობით მშრომელის აღზრდის სიძნელეები არ შეიძლება ჯეროვნად არ შევაფასოთ.

ჩვენი ქვეყნის წინაშე დასმული ახალი ამოცანები ყველა ჩვენს ადამიანს უკლებლივ ყველა მშრომელს ავალებენ კიდევ უფრო და უფრო მაღლა ასწიონ თავიანთი საზოგადოებრივ-კულტურული დონე, დაეუფლონ რევოლუციურ თეორიას.

აი რატომ უნდა ვიმუშაოთ გაძლიერებით იმისათვის, რომ თვითეულ მუშას, კოლმეურნეს, მშრომელს ჩავუნერგოთ იმის გაგება, რომ მისი, პირველი შეხედვით მცირედი, მუშაობა წარმოადგენს დიდი საერთო საქმის მნიშვნელოვან ნაწილს, რომ თვითეულის მუშაობა არა კერძო, არამედ სახელმწიფოებრივი საქმეა, რომ თვითეულის პირადი შრომის შედეგები გავლენას მოახდენს მთელი სოციალისტური მშენებლობის საერთო შედეგებზე.

საბჭოთა ადამიანების საუკეთესო თვისებათა მრავალფეროვანი გამოვლინებით იქმნება სახე ახალი, ყოველმხრივ განვითარებული, გაბედული, მიზნის მიღწევაში მედგარი ადამიანისა, ისეთი ადამიანისა, რომელიც ყველა და ყოველგვარ დაბრკოლებას ამსხვრევს თავის გზაზე, ადამიანისა, რომელიც უსაზღვროდ ერთგულია საბჭოთა სამშობლოსი, კომუნიზმის საქმისა.

აღვზარდოთ ასეთი ადამიანები, ჩავუნერგოთ ეს თვისებანი ყველა მშრომელს—აქეთკენ მოგვიწოდებს ამხანაგი **სტალინი. (ტაში).**

### IV

ამხანაგებო!

ჩვენ ავაშენეთ სოციალიზმი და სწორედ ეს არის ამხანაგ **ლენინის** ძირითადი ანდერძის შესრულება.

ეს ისტორიული გამარჯვება უზრუნველჰყო ჩვენმა ბოლშევიკურმა პარტიამ ამხანაგ **სტალინის** ხელმძღვანელობით. **(ხანგრძლივი ტაში).**

**ლენინის** გარდაცვალებიდან განვლილი თექვსმეტი წლის მანძილზე ჩვენმა პარტიამ ბრძოლის ისეთი გზა გაიარა, რომელსაც ისტორიაში ვერაფერი ვერ შეედრება.

ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვება ადვილად როდი იქნა მიღწეული, ეს გამარჯვება ხალხისა და პარტიის მრავალრიცხოვანი მტრების წინააღმდეგ ბრძოლის შედეგია. შემთხვევითი კი არ არის რომ ბოლშევიკური პარტიის ბრძოლაში ყველა ანტიპარტიული ოპოზიციისა და ჯგუფის წინააღმდეგ, რომლებიც შემდეგ ანტისაბჭოთა კონტრრევოლუციურ ჭაობში გადაეშვნენ, ცენტრალური საკითხი იყო ერთ, ცალკე აღებულ ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის შესაძლებლობის საკითხი.

სოციალისტური რევოლუციის სწორედ ამ ძირითად საკითხში უცხოეთის დაზვერვათა აგენტები — ტროცკისტები, ბუხარინელები, რიკოველები ყველა ქვეყნის ბურჟუაზიის რეფორმისტ დამქაშებთან ერთად და თანაზიარად — ცდილობდნენ მოეწამლათ მუშათა და გლეხთა სული გამარჯვების შესაძლებლობისადმი, სოციალიზმის აშენების შესაძლებლობისადმი ეჭვის შხამით. მთავარი, რასაც მტრები ცდილობდნენ, ის იყო, რომ შეერყიათ მუშათა კლასის რწმენა თავისი ძალებისადმი, თავისი საქმის სიმართლისადმი.

ხოლო თუ თავისი ძალების რწმენა არ გაქვს, თუ შენი საქმის სიმართლეში არა ხარ დარწმუნებული, ისე წინსვლა არ შეიძლება. არმია, რომელიც გამარჯვებაში დარწმუნებული არ არის, აუცილებლად მარცხდება. ცდილობდნენ რა ეჭვის შხამით მოეწამლათ მშრომელნი, მტრებს იმის იმედი ჰქონდათ, რომ ჩამოაშორებდნენ ხალხს სოციალიზმისათვის ბრძოლას. იმედი ჰქონდათ, რომ აღადგენდნენ კაპიტალიზმს და გაამარადიულებდნენ კაპიტალისტურ მონობას.

მაგრამ მტრები ანგარიშში შესცდნენ. **ლენინი** გარდაიცვალა, მაგრამ პარტია ცოცხალი იყო. ლენინიზმის დროშა მაღლა ასწია **ლენინის** საქმის დიდმა განმგრძობმა— ამხანაგმა **სტალინმა. (მქუხარე ტაში).**

რევოლუციური თეორია, რომელიც გაამდიდრა და წინ წასწია პარტიამ და ამხანაგმა **სტალინმა,** პარტიას შესაძლებლობას აძლევს გაერკვეს ვითარებაში, ჩასწვდეს მოვლენათა შინაგან კავშირს, წინასწარ განჭვრიტოს მათი მსვლელობა. ამიტომ მოვლენებს პარტია მოუმზადებელი არა ხვდება.

კაპიტალისტური გარემოცვის ხრიკებზე, რომელიც ჩვენს რიგებში თავისი აგენტების შემოგზავნის გზით ცდილობდა ძირი გამოეთხარა სოციალიზმის ქვეყნისათვის, პარტიამ იმით უპასუხა, რომ გადაჭრით განამტკიცა საბჭოთა სახელმწიფო, წითელი არმია, საბჭოთა დაზვერვა, სახელმწიფო ხელისუფლების ყველა დანარჩენი ორგანო და ულმობელი ბრძოლა გაჩაღა ჯაშუშების, დივერსანტების, მავნებლებისა და მკვლელების წინააღმდეგ.

სანამ კაპიტალისტური გარემოცვა არსებობს, ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ კაპიტალიზმის ბრძოლა გამძაფრდება და სულ უფროდაუფრო მწვავე ფორმებს მიიღებს.

ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის მთელი ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ კაპიტალისტური გარემოცვის დროს კომუნიზმში გადასვლის განხორციელება შეუძლებელია ისე, თუ გამუდმებით არ განვამტკიცეთ საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერება.

ასრულებს რა ამხანაგ **სტალინის** მითითებებს, პარტია გაძლიერებით მუშაობს იმისათვის, რომ კიდევ უფრო გაადიდოს ჯერჯერობით ერთადერთი სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერება და ორგანიზებულობა.

პარტია, რომელმაც გაანადგურა მტრები, აღმოფხვრა გამცემლების, უცხოეთის დაზვერვათა აგენტების საზიზღარი ბუდეები, ისეთი ძლიერი და მონოლიტური გახდა, როგორიც არასოდეს არა ყოფილა. პარტიისა და ხალხის მტრები კი მომავალშიაც აღიგვებიან საბჭოთა მიწის პირიდან.

პარტიის წევრის სახელწოდება უმაგალითო სიმაღლეზეა აყვანილი, რადგან ახლა მთელი ხალხი თავის მოწინავე, საუკეთესო ნაწილს ხედავს კომუნისტებში. მთელი ხალხი მხარს უჭერს პარტიის ყველა წამოწყებას, რადგანაც მან იცის, რომ პარტიას არა აქვს სხვა მიზნები, გარდა ხალხის ინტერესებისა.

ჩვენი ქვეყნისაკენ, ჩვენი ხალხისაკენ არის მოპყრობილი მთელი მსოფლიოს მშრომელთა თვალი, სოციალიზმის ქვეყანასთან არის დაკავშირებული კაცობრიობის საუკეთესო იმედები. ყველა ქვეყნის მშრომელნი თვალყურს ადევნებენ ჩვენს თვითეულ წინგადადგმულ ნაბიჯს, რადგან მათ იციან, რომ სსრ კავშირის მუშების —მსოფლიო პროლეტარიატის დამკვრელი ბრიგადის წარმატებები მათი წარმატებებია, რომ ის საქმე, რომლისთვისაც ჩვენ ვიბრძვით, მთელი მსოფლიო პროლეტარების საქმეა.

საბჭოთა კავშირს მაღლა უჭირავს ინტერნაციონალიზმის დროშა, იგი თავდადებულად ასრულებს თავის ვალდებულებებს იმ ხალხთა დასაცავად, რომელნიც დახმარებისათვის მიმართავენ მას. განვლილ წელს ხალხის საყვარელმა წითელმა არმიამ ხალხინ-გოლის ნაპირებზე გმირული ბრძოლით დაიცვა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის საზღვრები და დამოუკიდებლობა. წითელი არმიის განმათავისუფლებელმა ლაშქრობამ დასავლეთში პოლონელი პანების ტყვეობისაგან იხსნა დასავლეთი უკრაინა და დასავლეთი ბელორუსია.

ამჟამად ჩვენი მამაცი წითელი არმია ასრულებს მანერჰაიმის ბანდების უღლისაგან ფინელი ხალხის განთავისუფლების დიად მისიას, უზრუნველჰყოფს ლენინგრადის დაცვას და, მაშასადამე, მთელი ჩვენი ქვეყნის დაცვასაც.

მხურვალე ბოლშევიკურ სალამს ვუთვლით ლენინგრადის სამხედრო ოლქისა და წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტის მეომრებს, მეთაურებსა და პოლიტმუშაკებს **(ხანგრძლივი ტაში).**

უცხოეთის მოსყიდული პრესა—იმპერიალისტური ბურჟუაზიის, განსაკუთრებით ინგლის-საფრანგეთის ბურჟუაზიის მსახური,—ერთიმეორეზე უფრო დაუჯერებელ ჭორებს თხზავს წითელი არმიის შესახებ. ზოგიერთი განსაკუთრებით გააფთრებული ცილისმწამებელი რაღაცას კიდევაც წრიპინებს სსრ კავშირის წინააღმდეგ ინტერვენციის შესახებ, მუშათა და გლეხთა ქვეყნის წინააღმდეგ გალაშქრების შესახებ. ალბათ ამ ვაჟბატონებზეა ნათქვამი, რომ, თუ ღმერთს ვისიმე დასჯა უნდა, უწინარეს ყოვლისა გონებას წაართმევსო. ამ ადამიანებმა დაჰკარგეს გონება და მასთან ერთად მეხსიერებაც.

მათ დაავიწყდათ, რომ წითელი არმია დაუზოგავად ურტყამდა მათ წყნარ და ყინულოვან ოკეანესთან, შავ ზღვასა და ბალტიის ზღვასთან, შუა აზიაში და არხანგელსკში, უკრაინასა და ციმბირში.

მერე ვინ ურტყამდა მათ? მათ ურტყამდა იმ ქვეყნის წითელი არმია, რომელიც უმაგალითო ნგრევას განიცდიდა, ტანშიშველი და ფეხშიშველი, დამშეული იყო, არავითარი ტექნიკა არ გააჩნდა. და აი ასეთმა წითელმა არმიამ დაამარცხა 14 სახელმწიფოს ინტერვენტები და უკუაქცია ისინი.

ამჟამად საბჭოთა ხალხის ენთუზიაზმი, მისი გამარჯვების ურყევი ნებისყოფა გამრავლებულია უაღრესად მოწინავე სამხედრო ტექნიკაზე. ჩვენს ქვეყანაში ზურგი და ფრონტი შედუღებულია ურყევ ერთიანობით. აი სწორედ ამიტომ ომის ყველა გამჩაღებელს, რომელიც ინტერვენციის, ჩვენს ქვეყანაზე თავდასხმის შესახებ ოცნებობს, თავის ძალაში დარწმუნებული საბჭოთა ხალხი გულდამშვიდებით, მაგრამ მრისხანედ ეუბნება: „აბა, ერთი გაბედეთ!“

რაც შეეხება ფინელ მშრომელებს, შორს არ არის ის დღე, როდესაც ისინი სამუდამოდ განთავისუფლებული იქნებიან თეთრფინელების — იმპერიალიზმის ამ დაქირავებული აგენტების უღლისაგან.

○

ამხანაგებო!

თექვსმეტი წელია მიემართება ჩვენი ქვეყანა ულენინოდ, **ლენინის** გზით, ამხანაგ **სტალინის** ხელმძღვანელობით.

ამასწინათ ჩვენი ქვეყნის და მთელი მსოფლიოს მშრომელებმა აღნიშნეს ამხანაგ **სტალინის** დაბადების სამოცი წლისთავი და მისი რევოლუციური მოღვაწეობის თითქმის ორმოცდახუთი წლისთავი.

ორმოცდახუთი წლის რევოლუციური მუშაობა — ეს დროის მხრივ ჩვენი პარტიის მთელი ისტორიაა— დაქსაქსული წრეებით დაწყებული — მსოფლიოში უძლიერეს პარტიამდე, რომელიც ხელმძღვანელობს სოციალისტურ სახელმწიფოს, ეს არის პარტიის საფუძვლებისათვის, მისი ორგანიზაციისა და განმტკიცებისათვის, მისი გამარჯვებებისათვის ბრძოლის ისტორია. ამხანაგ **სტალინის** სახელი დაკავშირებულია მთელ ამ ბრძოლასთან, ძალაუფლებისათვის, სოციალიზმისათვის მუშათა კლასის მიერ პარტიის ხელმძღვანელობით წარმოებულ ბრძოლასთან.

მუშათა კლასმა თავის ბელადებად წამოაყენა აზროვნების ისეთი ტიტანები, როგორიც იყვნენ **მარქსი, ენგელსი, ლენინი,** როგორიც არის **სტალინი.**

ისეთ ადამიანთა ძალა, როგორიც იყვნენ **მარქსი, ენგელსი, ლენინი,** როგორიც არის **სტალინი,** იმაშია, რომ ისინი სათავეში ჩაუდგნენ ყველაზე მოწინავე კლასს, რომელსაც ეკუთვნის მომავალი, — მუშათა კლასს, სათავეში ჩაუდგნენ ადამიანთა თანამედროვე საზოგადოების ეკონომიური განვითარების საჭიროებებისათვის ბრძოლას, სათავეში ჩაუდგნენ მშრომელთა ბრძოლას ახალი საზოგადოებრივი წყობილებისათვის.

კაცობრიობის ისტორიაში ცოტანი როდი იყვნენ გამოჩენილი პიროვნებანი, მაგრამ ისინი სათავეში ედგნენ ერთი რომელიმე ქვეყნის ჯგუფს, ან კლასის ინტერესებს, დიდი-დიდი — ერთი ქვეყნის ნაციონალურ ინტერესებს.

ისეთი ბელადები, როგორიც იყო **ლენინი** და როგორიც არის **სტალინი,** სათავეში უდგანან მთელი მსოფლიოს მუშათა კლასისა და ჩაგრულთა მისწრაფებებსა და იმედებს.

ჩვენში ახლა ისეა, რომ სტახანოველები, რომლებიც შრომის ნაყოფიერების ახალ რეკორდებს ამყარებენ, პოლარელები, რომელნიც არქტიკას ეუფლებიან, მფრინავები, რომლებიც საბჭოთა სამშობლოს სადიდებლად საგმირო საქმეებს სჩადიან, მეცნიერნი, რომელნიც მსოფლიო მნიშვნელობის აღმოჩენებს ახდენენ, — ყველა ისინი ყოველივე ამას აკეთებენ **სტალინის** სახელით, აკეთებენ **სტალინის** სახელით აღფრთოვანებულნი.

წითელარმიელები ბრძოლაში ებმებიან ლოზუნგით — სტალინისათვის!

ყოველივე ეს იმიტომ არის, რომ ლოზუნგი „წინ! სტალინისათვის!“ ნიშნავს „წინ მშრომელთა საქმისათვის, მთელი მშრომელი და პროგრესიული კაცობრიობის საუკეთესო და უკეთილშობილეს მისწრაფებათათვის, ლენინის საქმისათვის!“ **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

ამხანაგებო!

ჩვენს წინაშე მრავალი გადაუჭრელი ამოცანაა. თვალს ნუ დავხუჭავთ — ჩვენს გზაზე მრავალი დაბრკოლება და სიძნელე იქნება. ჩვენ ჯერ კიდევ დიდი და სასტიკი ბრძოლა მოგველის. მაგრამ ჩვენ ყოველგვარ სიძნელეს დავძლევთ, ყოველგვარ დაბრკოლებას გადავლახავთ, ვინაიდან ჩვენ მიგვიძღვება დიადი ბოლშევიკური პარტია და ჩვენთან არის **სტალინი** — დროშა, რომელიც მილიონობით ადამიანებს რაზმავს, რომელიც კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლისაკენ მოგვიწოდებს.

გაუმარჯოს ამხანაგ **ლენინს!**

გაუმარჯოს ამხანაგ **სტალინს!** **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან. „ინტერნაციონალი“. ოვაცია).**

# ვ. ვ. კუიბიშევი

ხუთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ტროცკისტ-ბუხარინელმა არამზადებმა მუხანათურად მოუსპეს სიცოცხლე ბოლშევიკური პარტიის მამაც შვილს, მის ერთერთ უაღრესად გამოჩენილ ხელმძღვანელს-ვალერიან ვლადიმერის-ძე კუიბიშევს. კუიბიშევის მთელი სიცოცხლე, პირველი შეგნებული ნაბიჯით დაწყებული და მისი უკანასკნელი ამოსუნთქვით დამთავრებული, უკლებლივ შეეწირა კომუნიზმის დიად საქმეს.

1903 წელს, თხუთმეტი წლის ჭაბუკი, პირველად ეცნობა კუიბიშევი მარქსის, ენგელსისა და ლენინის თხზულებებს. ღრმად ჩასწვდა სულში ჭაბუკს რევოლუციური სიმართლის დიადი სიტყვები. 1904 წელს კუიბიშევი უკვე შედის რსდმპ ომსკის ორგანიზაციაში და მაშინვე ბოლშევიკების ფრაქციას ემხრობა.

1905 წლის რევოლუციამ კადეტთა კორპუსში მოუსწრო კუიბიშევს. მეფის მხეცური მოქმედებამ, უიარაღო მუშების დემონსტრაციის დახვრეტა პეტერბურგში მთელი ხალხის მძაფრ პროტესტსა და აღშფოთებას იწვევს. ახალგაზრდა კუიბიშევი რისხვით აღსავსე პროტესტს სწერს 9 იანვრის სისხლიანი დახვრეტის წინააღმდეგ.

1906 წელია. კუიბიშევი არის რსდმპ ომსკის კომიტეტის წევრი.

1906 წლის ნოემბერში პარტიის ომსკის საქალაქო კონფერენციაზე კუიბიშევი პირველად დააპატიმრეს. მას შემდეგ მეფის ჯაშუშები აწყობენ კუიბიშევზე ნადირობას. ერთერთი ანკეტის სვეტში „როდის და რა დევნა განიცადეთ პოლიტიკური მოღვაწეობისათვისო“ კუიბიშევმა უპასუხა: „დაპატიმრებული ვიყავი რვაჯერ (ომსკში, ტომსკში, პეტროგრადში, სამარაში). — 1906—1916 წლების განმავლობაში. სამჯერ გამასამართლეს. ოთხჯერ ვიყავი გადასახლებული (ტომსკის გუბერნიაში — კაინსკში, ნარიმში, ირკუტსკის გუბერნიაში, ტურუხანსკში)“. მაგრამ ვერც საპყრობილის მკაცრმა რეჟიმმა, ვერც ჯალათების მიერ მხეცურმა ცემამ, ვერც მრავალ თვეს მარტო ყოფნამ საკანში—ვერაფერმა ვერ გასტეხა ვალერიან ვლადიმერის-ძის ვაჟკაცობა.

კუიბიშევი არაერთხელ გამორბის გადასახლებიდან. ომსკში, ტომსკში, პეტროპავლოვსკში, ხარკოვში, პეტერბურგსა და სამარაში—ყველგან დაუცხრომელად მუშაობს იგი, მჭიდროდ აკავშირებს და რაზმავს ბოლშევიკებს, დაუნდობლად ანადგურებს მენშევიკ-ლიკვიდატორებს, ტროცკისტებს, ოტზოვისტებს, ლენინიზმის ყველა და ყოველ მტერს. კუიბიშევი სიცოცხლის დაუზოგავად მუშაობს პარტიის საქმისათვის. 1908 წელს, ვალერიან ვლადიმერის-ძე გამოიქცა გადასახლებიდან; მას ჩავარდნა და დაპატიმრება ემუქრებოდა. საჭირო იყო დამალვა. იშოვნა საზღვარგარეთის პასპორტი და წასასვლელად ემზადებოდა. მაგრამ წასვლის წინა დღეს კუიბიშევმა გაიგო, რომ ერთ ამხანაგს სიკვდილით დასჯა მოელის მოსკოვის შეიარაღებულ აჯანყებაში მონაწილეობისათვის. მას ერთი წუთიც არ უყოყმანია, პასპორტი ამხანაგს გადასცა. კუიბიშევი უპასპორტოდ დარჩა, საზღვარგარეთ ველარ წავიდა; მალე დააპატიმრეს და კვლავ გადაასახლეს.

1914 წელია. ატყდა პირველი იმპერიალისტური ომი. ვალერიან ვლადიმერის-ძე ბოლშევიკურ არალეგალურ მუშაობას ეწევა პეტერბურგში. იგი 1914 წელს ბოლშევიკების პეტროგრადის კომიტეტის წევრია, 1916 წელს ბოლშევიკების პოვოლჟიეს კონფერენციის ორგანიზატორია სამარაში, მაგრამ აი მეფის ჯაშუშებმა მიაგნეს უჩინარი და უშიშარი რევოლუციონერის კვალს, და იგი კვლავ დააპატიმრეს და გადაასახლეს.

1917 წლის თებერვლის რევოლუცია, რომ მოხდა, ბორკილგაყრილი კუიბიშევი ტურუხანსკში ეტაპით მიმავალ გადასახლებულთა ჯგუფში იყო.

სიხარულით შეეგებნენ ვალერიან ვლადიმერის-ძეს სამარის (ახლა ქალ. კუიბიშევი) მუშები, როდესაც იგი გადასახლებიდან დაბრუნდა.

სამოქალაქო ომის წლებია. ვალერიან ვლადიმერის-ძე კუიბიშევი ფრონტზე ყოფნისას საფრთხეს არ ერიდებოდა, ხიფათში აგდებდა თავის თავს და ვაჟკაცობის პირადი მაგალითით აღაფრთოვანებდა მებრძოლთ. მტკიცე, გაბედული ხელით მჭიდროდ რაზმავდა და ბრძოლაში მიჰყავდა მას წითელი პოლკები. მისი ხელმძღვანელობით 1-ლმა წითელმა არმიამ პირველი ლახვარი ჩასცა კონტრრევოლუციურ ჯარს სიმბირსკში. ეს იმ დროს იყო, როდესაც საზიზღარი მოღალატეების ტროცკი-ბუხარინის მიგზავნილი ესერი ქალის, კაპლანის მიერ მძიმედ დაჭრილი ლენინი სიკვდილს ებრძოდა. მაშინ კუიბიშევმა ასეთი დეპეშა გაჰგზავნა კრემლში: „ძვირფასო ვლადიმერ ილიას-ძევ! თქვენი სამშობლო ქალაქის აღება არის თქვენი პირველი ჭრილობის პასუხი, მეორის პასუხად იქნება სამარა!“.

ვლადიმერ ილიას-ძემ უპასუხა კუიბიშევს: „ჩემი სამშობლო ქალაქ-სიმბირსკის აღება ყველაზე მარგებელი, ყველაზე კარგი მალამოა ჩემი ჭრილობებისათვის. არაჩვეულებრივ სიმხნესა და ძალას ვგრძნობ...“

კუიბიშევი კიროვთან ერთად ხელმძღვანელობდა 1919 წლის ზაფხულში ასტრახანის გმირულ თავდაცვას. ბრძოლაში კუიბიშევის უშიშრობასა და ვაჟკაცობას ნათლად ახასიათებს შემდეგი ეპიზოდი. რათა ჭკუა ესწავლებინა გათავხედებული ინტერვენტების ავიაციისათვის, რომელიც სისტემატურად ავზაკურად ესხმოდა თავს ასტრახანს, კუიბიშევი გაუძღვა საბჭოთა თვითმფრინავების რგოლს, ავიდა ჰაერში და გამართა ბრძოლა. ძველი მოშლილი თვითმფრინავები თავს დაატყდნენ ინგლისელების გაუმჯობესებულ სწრაფმავალ თვითმფრინავებს და უკუაქციეს ისინი. ინგლისელთა ერთი თვითმფრინავი ჩამოაგდეს და ეკიპაჟი ტყვედ წამოიყვანეს. როდესაც ტყვე ინგლისელმა მფრინავებმა ჰკითხეს კუიბიშევს, დიდი ხანია თუ არა, რაც ფრინავს „სერ შეფპაილოტი“, რომელმაც ჩვენ ტყვედ წამოგვიყვანაო, ვალერიან ვლადიმერის-ძემ უპასუხა: „ეს ჩემი პირველი ფრენა იყო“.

კუიბიშევი ლენინისა და სტალინის ერთგული თანამებრძოლი და მოწაფეა. რა უბანზედაც უნდა ემუშავა, იგი მტკიცედ ატარებდა ლენინ-სტალინის პარტიის ხაზს. 1920 წელს, როდესაც სხვადასხვა ოპოზიციურმა „ლიდერებმა“ თავს მოახვიეს პარტიას დისკუსია პროფკავშირების შესახებ, ვალერიან ვლადიმერის-ძე გაგზავნილ იქნა პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალურ საბჭოში სამუშაოდ.

1921 წელია. ამხ. კუიბიშევი „გლაველექტროს“ უფროსია. იგი დაუცხრომელი ენერგიით ახორციელებს ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაციის ლენინურ გეგმას, რომელსაც სამართლიანად დაერქვა პარტიის მეორე პროგრამა. 1922-23 წლებს ვალერიან ვლადიმერის-ძე რუსეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ერთერთი მდივანი და ამხანაგ სტალინის უახლოესი თანაშემწეა. უდრეკი ლენინელი, კომუნიზმის საქმისათვის თავდადებული, პარტიის მტრების მიმართ ულმობელი, კუიბიშევი ლენინისა და სტალინის წინადადებით 1923 წელს არჩეულ იქნა ცენტრალური საკონტროლო კომისია-მუშგლეხინის თავმჯდომარედ.

ლენინ-სტალინის პარტია უაღრესად პასუხსაგებ პოსტებზე აყენებდა კუიბიშევს. 1926 წელს, ფელიქს ძერჟინსკის გარდაცვალების შემდეგ, ვალერიან ვლადიმერის-ძეს აყენებენ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე.

1930 წელს ამხ. კუიბიშევი სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარეა, 1934 წლიდან კი შეთავსებით სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული საბჭოთა კონტროლის კომისიის თავმჯდომარე.

ჩვენი სამშობლო, და მთელი მშრომელი კაცობრიობა არასოდეს არ დაივიწყებს ამხ. კუიბიშევის მუშაობას ჩელუსკინელთა გადასარჩენად. კუიბიშევმა, რომელიც გამსჭვალული იყო მხურვალე სიყვარულით საბჭოთა ადამიანებისადმი და ყოვლისმძლე მისწრაფებით შეესრულებინა სტალინის, პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დავალება, ქარბუქსა და ქარიშხალში შორეული ყინულებისაკენ, ჩელუსკინელთა გადასარჩენად დასძრა საბჭოთა თვითმფრინავები, მძლავრი ყინულმჭრელები, მებრძოლთა მთელი არმია დარაზმა საბჭოთა ადამიანების სიცოცხლის გადასარჩენად, მოაწყო ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ახალი დიადი გამარჯვება. კუიბიშევს მხურვალედ და უსაზღვროდ უყვარდა საბჭოთა ხალხი, საბჭოთა ადამიანები, სოციალისტური სამშობლო. ლენინ-სტალინის პარტიის საქმეს, საბჭოთა ხალხს შესწირა კუიბიშევმა თავისი შესანიშნავი სიცოცხლე. სწორედ ამიტომ ეჯავრებოდათ კუიბიშევი ასე გაბოროტებით ხალხის საზიზღარ მტრებს—ტროცკისტ-ბუხარინელ გარეწრებს, სწორედ ამიტომ მოუსპეს მას სიცოცხლე.

ვალერიან ვლადიმერის-ძე კუიბიშევის გმირული სიცოცხლე აღაფრთოვანებს საბჭოთა ადამიანებს სოციალისტური შრომისა და სოციალისტური ბრძოლის ახალ-ახალი გმირობის ჩასადენად. მისი ხსოვნა უკვდავი იქნება საბჭოთა ხალხში.

ა. პიტერსკი.

# გიორგი წერეთელი

## (გარდაცვალებიდან 40 წლისთავის შესრულების გამო)

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარი საქართველოში ძველ და ახალ თაობათა გააფთრებული ბრძოლით დაიწყო. საქართველოში დაბრუნდნენ რუსეთში კურსდამთავრებული ახალგაზრდები, რომლებიც იზრდებოდნენ ნეკრასოვის, დობროლიუბოვის, ჩერნიშევსკის პროგრესიული იდეების გავლენით. მამებისა და შვილების ბრძოლა, რომელიც რუსეთში იყო გაჩაღებული, მათ საქართველოში ჩამოიტანეს. ჩვენში ძველი თაობის წარმომადგენლები იყვნენ გრ. ორბელიანი, ალ. ორბელიანი, ბ. ჯორჯაძე და სხვ., რომლებიც შემოკრებილი იყვნენ „ცისკრის“ გარშემო. რეაქციულ-კონსერვატორული მიმართულების წინააღმდეგ იმავე „ცისკარში“ 1861 წელს გაილაშქრა „თერგდალეულთა“ დასმა ილია ჭავჭავაძის მეთაურობით.

ასე დაიწყო ახალი ხანა მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში. გ. წერეთელი ამის შესახებ სწერდა:

> „ქართული ლიტერატურის ახალ ხანას ჩვენ იმ პერიოდს ვუწოდებთ, რომელიც საქართველოში ბატონ-ყმობის გადავარდნის წინა წლებიდან იწყება, სახელდობრ 1861 წლიდან, როდესაც ილ. ჭავჭავაძემ ახალი ლიტერატურული მოძრაობა ასტეხა ჯერ კიდევ „ცისკარში“ და გარს შემოიკრიბა თავისი საკუთარი წრე. ამ წრეში მომქმედ პირებათ იყვნენ ილ. ჭავჭავაძე, როგორც მეთაური და ჰუმანიტარული დროშის ამფრიალებელი, პეტრე ნაკაშიძე, გ. ყაზბეგი, ივ. პოლტარაცკი, მიხ. ყიფიანი, ივ. ბერიძე, დავით ყიფიანი, გ. ჩიქოვანი, ალ. სავანელი, მიხეილ ჩიკვაიძე, ილ. წინამძღვრიშვილი და ვ. თულაშვილი. ამათ შემოიღეს კერძო კრებები, სადაც კითხულობდნენ რეფერატებს და სადაც ალტაცებული ჭაბუკი ილ. ჭავჭავაძე თავისი ახალ დაწერილ ლექსების და „გლახის ნაამბობის“ თავების კითხვით ამხნევებდა, ასულდგმულებდა თავის საკუთარ წრეს, და წრეს გარეშე არაჩვეულებრივ თანაგრძნობას იძენდა საზოგადოებაში. აი, ამ წრემ ილ. ჭავჭავაძის მეთაურობით გამოსცა „საქართველოს მოამბე“ 1863 წ. ჟურნალში მიიღეს მონაწილეობა მაშინდელმა საუკეთესო მწერლებმა... პეტერბურგის სტუდენტობაც ალტაცებით შეხვდა ამ ჟურნალის გამოსვლას. იქიდან მესამე კურსის სტუდენტმა ქ. ლორთქიფანიძემ და პირველი კურსის სტუდენტმა გ. წერეთელმა თავისი ჯერ კიდევ უცდელი კალმის ნაწარმოებიც მიაწვდინეს ახალ წრეს ჰუმანიტარულის მიმართულებისას. „საქართველოს მოამბემ“ დაჰგმო ძველი ბატონყმური დამოკიდებულება, სენტიმენტალურად შეხედა მან თავის მწერლობაში გლეხის დაჩაგრულ ბედს და შემდეგ ესევე გრძნობა გადაიტანა სამშობლოზედაც“.

თერგდალეულთა ჯგუფი ერთგვარი აზრისა არ იყო საქართველოში სოციალური ურთიერთობის შემდგომი განვითარების საკითხში. ილია ჭავჭავაძისა და მის თანამოაზრეთა ფეოდალურ - პროგრესიული მიმართულება არ აკმაყოფილებდა პეტერბურგიდან ახლად დაბრუნებულ ახალგაზრდებს. მალე ისინი გაეთიშნენ ილიას და დააარსეს „ახალი ახალგაზრდობის“ ჯგუფი, წოდებული მეორე დასად, რომელსაც გ. წერეთელი მეთაურობდა.

მეორე დასის შესახებ გ. წერეთელი სწერდა:

> ...„ამ დროს გაჩნდა მეორე დასი. განსაკუთრებით თავი იჩინა ამ მეორე დასმა 1869-დან 1877-მდე. ეს დასი შეჯგუფდა და შეკავშირდა „დროება“—„კრებულის“ რედაქციაში. ამ დასის ნამდვილი წარმომადგენლები იყვნენ ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, ს. მესხი, კირილე ლორთქიფანიძე და პეტრე უმიკაშვილი. ამათვე შემოუერთდა განკერძოებულად მოღვაწე აკაკი წერეთელი. ეს მეორე დასი იყო პროგრესიულ-დემოკრატიულ მიმართულების მიმდევარი“.

გ. წერეთელი მეორე დასს პროგრესიულ-დემოკრატიულ მიმართულების მიმდევრად აცხადებს, სინამდვილეში კი იგი იყო ბურჟუაზიულ-პროგრესიული მიმართულებისა და აღმოცენდა ბატონყმობის გადავარდნისა და საქართველოს მაშინდელ სინამდვილეში კაპიტალისტური ურთიერთობის შემოჭრის საფუძველზე.

მეორე დასის პროგრამა მოცემულია ს. მესხის, ნ. ნიკოლაძისა და გ. წერეთლის მაშინდელ წერილებში. წერილში „ახალი ახალგაზრდობა“ ნ. ნიკოლაძე, ასაბუთებდა რა ძველი თაობის დამარცხების აუცილებლობას, აყენებდა სასპარეზოდ ახლად გამოსული ბურჟუაზიის პროგრამას. გ. წერეთელი სწერდა:

> „ამ სახით ჩვენი თავადაზნაურობის დასუსტება, დაქვეითება და მუშა ხალხის სულის ჩადგმა, იმისი წინწამოწევა, აი დიდად სანუგეშო ნიშნთაგანი ამ დროებისა. მაშ გაუმარჯოს მშრომელ ერს და იმის მოთავე მშრომელებს, განათლებულ ახალგაზრდობას. ჩვენი ქვეყნის ბედნიერება შემდეგში მათ ერთმანეთთან დაკავშირებაზე და დამეგობრობაზეა დამოკიდებული“.

ამრიგად, მეორე დასი ჩვენში ბურჟუაზიულ განვითარებას ჰქადაგებდა. ბურჟუაზიული წყობილება მას იდეალურ წყობად ჰქონდა წარმოდგენილი. საწარმოო ძალების განვითარება, მრეწველობის, აღებ-მიცემობის გაშლა „მუშა ხალხის სულის ჩადგმას“ მოასწავებსო. გ. წერეთელისა და მისი თანამოაზრეების სიტყვით ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების მებაირახტრედ იქნებიან „კრიტიკულად მოაზროვნე პირები“, ე. ი. ინტელიგენცია, რომლებიც გზას გაუხსნიან კეთილდღეობისკენ მუშებს. ეს რომ უსაფუძვლო დეკლარაცია იყო, თვით გ. წერეთელმა დაგვიმტკიცა თავის რომანებში. ბახვა ფულავა („პირველი ნაბიჯი“) მართალია ღატაკების წრიდან არის წარმოშობილი, მაგრამ მან „სული ჩაიდგა“, ანუ გამდიდრდა არა „კრიტიკულად მოაზროვნე პირების“ მეშვეობით, არამედ მშრომელთა სასტიკი ექსპლოატაციითა და გაყვლეფით.

მეორე დასის ბურჟუაზიული პროგრამა ჩვენს ქვეყანაში ვერ განხორციელდა მთლიანად. მართალია ბატონყმობის გადავარდნამ, ბატონებისაგან დამოუკიდებელი მუშახელის გამოჩენამ, რკინიგზების გაყვანამ, საქონელბრუნვის განვითარებამ ასპარეზი გაუხსნა მრეწველობას, მაგრამ იყო ერთი დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი, რაც ახალგაზრდა ბურჟუაზიას წინ ეღობებოდა. ეს გახლდათ თვითმპყრობელობა, რომელმაც საქართველო კოლონიად გადააქცია და არა თუ ხელს უწყობდა, არამედ ყოველ მხრივ აფერხებდა საქართველოში მრეწველობის ზრდას, ქვეყნის საწარმოო ძალების აყვავებას. მიუხედავად კაპიტალიზმის განვითარებისა ჩვენში, ოქტომბრის დიდ რევოლუციამდე, საქართველო აგრარულ ქვეყანას წარმოადგენდა დაქუცმაცებული მიწათმფლობელობით და ნახევრადკუსტარული საწარმოებით. საქართველოში მრეწველობა უმაგალითოდ გაიზარდა მხოლოდ მუშათა კლასის საბოლოო გამარჯვების შედეგად.

მიუხედავად ამისა, მეორე დასის როლი ჩვენი ქვეყნის განვითარების ისტორიაში დიდია. იგი იყო უთუოდ პროგრესიული ძალა, რომელიც, უცხადებდა რა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას ფეოდალიზმს და ყოველმხრივ ხელს უწყობდა ჩვენი ქვეყნის განვითარებას კაპიტალისტური გზით, ნერგავდა ჩვენში ევროპულ კულტურას, ანოყივრებდა იმ ნიადაგს, რომელზეც მე-20 საუკუნის დამლევს პროლეტარიატისა და მშრომელი გლეხობის — ქვეყნის მომავალ ბატონ-პატრონთა— ძლიერი მოძრაობა წარმოიშვა.

2

როგორც აღვნიშნეთ, გ. წერეთელი მეორე დასის ყველაზე უფრო თვალსაჩინო და თანამიმდევარი იდეოლოგი იყო. განსაკუთრებით ღირსშესანიშნავია იგი, როგორც მხატვრული სიტყვის ოსტატი.

გიორგი წერეთელი დაიბადა 1840 წელს ჭიათურის რაიონის სოფ. გორისაში. ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ გაემგზავრა პეტერბურგს, სადაც დაუახლოვდა რევოლუციურ-დემოკრატიული იდეებით გატაცებულ ახალგაზრდობას და 1861 წელს მონაწილეობა მიიღო სტუდენტთა არეულობაში. არეულობის მეთაურები დააპატიმრეს და გიორგი წერეთელიც რამდენიმე თვეს იჯდა კრონშტადტის ციხეში.

1864 წელს გ. წერეთელი საქართველოში დაბრუნდა და მაშინვე აქტიურად ჩაება საზოგადოებრივ მოძრაობაში. მისი ლიტერატურული მოღვაწეობა დაიწყო 1862 წლიდან, როცა ჯერ კიდევ 22 წლის ახალგაზრდამ „ცისკარში“ მოათავსა ძველი თაობის საწინააღმდეგო წერილი თერგდალეულთა დასაცავად.

გ. წერეთლის პირველი დიდი ნაწარმოებია ქართველი მკითხველისათვის კარგად ცნობილი „კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკა“. თუ რა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა გ. წერეთლის ამ მოთხრობამ, სჩანს ნ. ნიკოლაძის წერილიდან. ნ. ნიკოლაძის სიტყვით, „კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკას“ გამოქვეყნებით „მკითხველებში თითქმის იმგვარივე მოძრაობა შეიქმნა, როგორიც ცოტათი უწინ ბ-ნ ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანმა“ მოახდინა“.

ეს რომანი აგვიწერს ავტორის მოგზაურობას კიკოლიკთან, ჩიკოლიკთან და კუდაბზიკასთან ერთად ქუთაისიდან სვანეთში. მოთხრობა შეეხება ბატონყმობის გადავარდნის წინაპერიოდს. გ. წერეთელი დიდი მხატვრული ძლიერებით აგვიწერს ბატონებისა და ყმების ურთიერთობას. იმავე დროს მწერალი იჩენს ისეთ ძლიერ სატირულ ნიჭს, რომელიც მას სალტიკოვ-შჩედრინს უახლოვებს.

დიდმნიშვნელოვანია აგრეთვე მისი მეორე რომანი „გულქანი“. ამ რომანის წერა გ. წერეთელმა 1868 წელს დაიწყო. იმავე წელს მოახერხა პირველი 5 თავის გამოქვეყნება. შემდეგ კი რომანი „ტენდენციური შინაარსისა გამო“ ცენზურამ აკრძალა. რომანი მთლიანად გამოიცა მხოლოდ 1929 წელს.

„გულქანი“ სამი ნაწილისაგან შესდგება და აგვიწერს საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებას თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე (1840-90 წლები). რომანში აწერილია ბატონყმობის უკანასკნელი დღეები საქართველოში, მისი დამხობა, ფეოდალების გადაგვარება და კაპიტალიზმის თანდათანობით განვითარება. იმავე დროს რომანი აგვიწერს მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ინტელიგენციის ცხოვრებას და განსაკუთრებით ახალი თაობის (პირველი დასი) და „ახალი ახალგაზრდობის“ (მეორე დასი) ბრძოლას.

ცნობილია გ. წერეთლის მესამე დიდი ნაწარმოები „პირველი ნაბიჯი“. ეს რომანი აგვიწერს კაპიტალიზმის განვითარებას ჩვენში. ვის არ ახსოვს ახლად გამდიდრებული ბახვა ფულავა და უსაქმური, გარყვნილი იერემია წარბა. ამ რომანსაც ახასიათებს მაღალი მხატვრული ღირსებები, გამოკვეთილი ხასიათები, კარგად შეკრული რთული სიუჟეტი.

მეტად საინტერესოა აგრეთვე გ. წერეთლის კიდევ ერთი რომანი „ჩვენი ცხოვრების ყვავილი“.

გ. წერეთლის, როგორც მწერლის, მნიშვნელობა უთუოდ დიდია. მის შეფასებაში აზრთა დიდი სხვადასხვაობა იყო. კიტა აბაშიძემ გ. წერეთელი საქართველოში ნატურალიზმის დამფუძნებლად მონათლა. რასაკვირველია, ეს შეფასება სავსებით უმართებულოა. სწორია მეორე მიმართულება ქართულ კრიტიკულ აზროვნებაში (ნ. ნიკოლაძე და სხვ.), რომელიც გ. წერეთელს რეალისტად სთვლის.

თვით გ. წერეთელს მრავალგზის აქვს გამოცხადებული თავისი ლიტერატურული კრედო. იგი სიტყვასიტყვით ამბობს თავისი და თავისი დასის შესახებ, რომ „სიტყვა-კაზმულ ლიტერატურაში დაარსა შეუფერავი რეალიზმი“. ეს „შეუფერავი რეალიზმი“ მართლაც დამახასიათებელია გ. წერეთლისა, რომლის აზრით მწერალი არის „საზოგადოების ტანჯვის და შვების თანამგრძნობელი“.

გ. წერეთლის, ისე როგორც ილიასი და აკაკის ლიტერატურული მრწამსი, ესთეტიკური შეხედულებანი შემუშავდა ჯერ კიდევ რუსეთში ყოფნის დროს გამოჩენილ რუს მოღვაწეთა მოძღვრების საფუძველზე. უდავოა, გ. წერეთლისათვის უშედეგოდ არ ჩაუვლია ჩერნიშევსკის ესთეტიკური თეორიის გაცნობას, თეორიისა, რომელსაც საფუძვლად ედო დიდი რუსი დემოკრატის ცნობილი დებულება: „პატივისცემა ნამდვილი ცხოვრებისადმი, უნდობლობა აპრიორისტული, თუ გინდ ფანტაზიისათვის სასიამო ჰიპოთეზებისადმი.“ ე. წ. „წმინდა ხელოვნება“ გ. წერეთელმა შეგნებულად უარჰყო. მისი აზრით „მწერალი არის ერთი თვის საზოგადოების წევრთაგანი“, რომელმაც უნდა „უჩვენოს (საზოგადოებას) იმგვარი საშუალებები, რომლებიც მისი ფიქრით საუკეთესონი არიან ამ ნაკლოვანებების მოსასპობლად“. ამრიგად, ხელოვნება უნდა ემსახურებოდეს საზოგადოებას. იგი უნდა იკვებებოდეს ცხოვრებიდან, სინამდვილიდან აღებული მასალებით. მაგრამ მწერალი გ. წერეთლის აზრით, არ არის დაუინტერესებელი მოწმე გარემოსი, არამედ იგი აქტიური წევრია საზოგადოებისა და სინამდვილიდან აღებული მასალები ისე უნდა გადაამუშაოს, გარდაჰქმნას თავის მხატვრულ ლაბორატორიაში, რომ გავლენა იქონიოს საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაზე. „მავნებელიაო ლიტერატურა და პოეზია,—სწერდა გ. წერეთელი, — როდესაც ის არ მსახურებს ხალხის ცხოვრებას“.

ამ დებულებიდან გამომდინარეობს გიორგი წერეთლის მხატვრული შემოქმედება. მისი რომანების გმირები პირდაპირ რეალურ სინამდვილიდან არიან ამოყვანილნი, მათ პროტოტიპებიც ჰყავდათ ცხოვრებაში, მაგრამ ეს გმირები იმავე დროს ტიპიური წარმომადგენლებია მაშინდელ ეპოქისა. იერემია წარბა („პირველი ნაბიჯი“) დაჯილდოებულია ავტორის მიერ ისეთი თვისებებით, რომლებიც მას მაშინდელი, დეგრადაციის გზაზე დამდგარი თავადობის ტიპად აქცევენ. იმავე დროს იერემია წარბა გარკვეული ინდივიდუალური თვისებებით არის აღჭურვილი, რის გამო იგი არა ჰქმნის ავტორის მიერ მოგონილი სქემის შთაბეჭდილებას, პირიქით, სავსებით სისხლხორციანი რეალური ადამიანია. ასეთია გ. წერეთლის მოთხრობებისა და რომანების ყველა გმირი. მწერალმა იცის, როგორ გარდაჰქმნას ინდივიდი თავისი ეპოქის წარმომადგენლად და როგორ გააინდივიდუალოს ტიპი.

გვერდს ვერ ავუვლით გ. წერეთლის წერის მანერას. მოწინააღმდეგენი მას უსაყვედურებდნენ დამძიმებულ თხრობას, რომანების დატვირთვას ფაქტიური მასალებით. ეს საყვედური არ არის მართებული. ამისათვის საკმარისია გადაიკითხოთ „პირველი ნაბიჯი“ ან „გულქანი“. სადა სტილი, ფაქტიური მასალის დიდი ოსტატობით გამოყენება მის რომანებს მეტად სასიამო საკითხავ წიგნებად აქცევენ. გ. წერეთელს არ აინტერესებს სიტყვა როგორც თვითმიზანი. იგი არ ჰქარგავს წიგნს სიტყვიერი ორნამენტებით, მყვირალა ფრაზებით, განყენებული, თხრობისაგან დამოუკიდებელი აღწერით ბუნებისა. მისი ნაწარმოებების რთული სიუჟეტები დიდი ოსტატობით არის აწყობილი. მის მოთხრობებსა და რომანებს ახასიათებს ეპოქალობა, მხატვრული სიმართლე, პუბლიცისტური პათოსი და სიმახვილე, მკვეთრი განზოგადება. და სწორედ ამაში — სინამდვილის რეალურად ასახვაში, ეპოქის მხატვრული ტიპების შექმნაში გ. წერეთლის დიდი მნიშვნელობა ქართული ლიტერატურისა და საერთოდ ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებისათვის.

**გ. ნუცუბიძე**

# ჩერჩილის გამოსვლა

**ლონდონი**, 23 იანვარი (საკდესი). 20 იანვარს რადიოთი სიტყვა წარმოსთქვა ინგლისის საზღვაო მინისტრმა ჩერჩილმა. შეეხო რა ზღვაში წარმოებულ ომის მიმდინარეობას, ჩერჩილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ინგლისმა გერმანიის წყალქვეშა ფლოტთან ბრძოლაში მთელი რიგი წარმატებანი მოიპოვა. „მაგრამ, — განაცხადა ჩერჩილმა, — ჩვენ გერმანიის მხრით მუდამ რაიმე ახალ უსიამოვნებას უნდა მოველოდეთო“.

ჩერჩილმა თავის თავს ნება მისცა მთელი რიგი ცილისმწამებლური განცხადებანი გაეკეთებინა საბჭოთა კავშირის მიმართ.

ინგლისის საზღვაო მინისტრის სიტყვის ცენტრალურ ადგილს წარმოადგენდა მუქარა ნეიტრალური ქვეყნების მიმართ. ჩერჩილი ნეიტრალურ ქვეყნებს მოუწოდებდა მონაწილეობა მიიღონ ომში ინგლისისა და საფრანგეთის მხარეზე; მან პირდაპირ აღნიშნა, რომ მდგომარეობა „გაცილებით უარესი იქნება“, თუ ნეიტრალური ქვეყნები ინგლის-საფრანგეთის ბლოკის მხარეზე არ გამოვლენ.

## ომი დასავლეთ ევროპაში

**პარიზი**, 21 იანვარი (საკდესი). ჰავასის სააგენტო რადიოთი გადმოგვცემს შემდეგ ცნობას საომარი მოქმედების შესახებ დასავლეთის ფრონტზე: „მიუხედავად ძლიერი სიცივეებისა, ჩვეულებრივი საზვერავი და საპატრულო ოპერაციები კვლავ გრძელდება. რაიონში მდინარე ბლისის ჩრდილოეთით საფრანგეთის ერთი საპატრულო რაზმი ღრმად შეიჭრა გერმანიის ჯარის განლაგებაში და საფრანგეთის პოზიციებზე დაბრუნება შესძლო მას შემდეგ, რაც გერმანიის ძლიერ რაზმებთან ბრძოლით გაიკაფა გზა.

გერმანიის მზვერავმა თვითმფრინავებმა, რომლებიც დაკვირვებასა და ფოტოსურათების გადაღებას აწარმოებდნენ, დიდი აქტივობა გამოიჩინეს, როგორც ფრონტის რაიონში, ისე საფრანგეთის აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ რაიონებში. საფრანგეთის ავიაგამანადგურებლებს შეტაკება ჰქონდათ გერმანიის ავიაგამანადგურებლებთან. ერთერთი ასეთი შეტაკების დროს ჩამოგდებულ იქნა გერმანიის ერთი თვითმფრინავი“.

ოფიციალურ ცნობაში საომარი მოქმედების შესახებ, რომელიც გამოქვეყნებულია გუშინ საღამოს, ნათქვამია, რომ ვოგეზების დასავლეთით მტერი შეეცადა იერიშის მოტანას, რაც მარცხით დამთავრდა.

დღეს დილით გამოქვეყნებულ ცნობაში ნათქვამია: „ფრონტზე მდგომარეობა უცვლელია“.

## ინგლისის საესკადრო ნაღმოსნის ჩაძირვა

**ლონდონი**, 21 იანვარი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, გუშინ ჩრდილოეთ ზღვაში დაიღუპა ინგლისის საესკადრო ნაღმოსანი „გრენვილი“. ჰფიქრობენ, რომ საესკადრო ნაღმოსანი ნაღმს წააწყდა ან და ტორპედირებულ იქნა გერმანიის წყალქვეშა ნავის მიერ. საესკადრო ნაღმოსნის ეკიპაჟიდან გადარჩენილია 118 ოფიცერი და მატროსი, 8 კაცი მოკლულია, 73 კაცი, რომლებიც უგზოუკვლოდ დაიკარგნენ, ალბათ დაღუპულია. გადარჩენილთა შორის მრავალი მძიმედ არის დაჭრილი.

„გრენვილი“ — ფლოტილიის ლიდერი, რომლის წყალწყვა 1485 ტონას შეადგენს, წყალში ჩაშვებულია 1935 წელს.

## ინგლისის ტანკერის დაღუპვა

**ბერლინი**, 22 იანვარი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო ამსტერდამიდან იუწყება, რომ 20 იანვარს ინგლისის სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროს მახლობლად აფეთქების გამო ჩაიძირა ინგლისის ტანკერი „კარონი რივერი“ 7.807 ტონა წყალწყვისა. ტანკერის ეკიპაჟი ერთმა იალქნიანმა გემმა გადაარჩინა. აფეთქება იმ დროს მოხდა, როდესაც ტანკერი ნავსადგურიდან გადიოდა სასინჯი რეისის შესასრულებლად.

## თეთრფინელთა დახმარების საწინააღმდეგო მოძრაობა ამერიკის შეერთებულ შტატებში

**ნიუ-იორკი**, 23 იანვარი (საკდესი). როგორც გაზეთი „დეილი უორკერი“ ტამპიდან (ფლორიდა) იუწყება, საწარმოო პროფკავშირთა კონგრესში შემავალმა თამბაქოს მრეწველობის მუშაკთა ადგილობრივმა პროფკავშირმა დემოკრატ სენატორს პეპერს (ფლორიდის შტატიდან) წერილი გაუგზავნა, რომლითაც პროტესტს აცხადებს თეთრფინელთათვის დახმარების გაწევის წინააღმდეგ და აღნიშნავს, რომ ეს დახმარება ომში ითრევს ამერიკის შეერთებულ შტატებს.

იგივე გაზეთი იუწყება, რომ „ამერიკის სტუდენტთა კავშირი“ თავის 20 იანვრის განცხადებით ილაშქრებს თეთრფინელთათვის დახმარების გაწევის წინააღმდეგ, რა სახისაც უნდა იყოს ეს დახმარება.

## ამერიკის კომპარტიის მდივნის ბრაუდერის პროცესი

**ნიუ-იორკი**, 23 იანვარი (საკდესი). როგორც ცნობილია, გასული წლის 23 ოქტომბერს პოლიციამ დააპატიმრა ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ბრაუდერი. ბრაუდერს ბრალსა სდებენ მასში, რომ მან თითქოს ცრუ ცნობები მიაწოდა პასპორტის მიღების დროს. დაპატიმრების შემდეგ ბრაუდერი განთავისუფლებულ იქნა თავდებობით.

ამ დღეებში ნიუ-იორკში დაიწყო სასამართლოს პროცესი ბრაუდერის წინააღმდეგ. ბრიტიშ იუნაიტედ პრესის სააგენტო კომენტარს უკეთებს პროცესს და აცხადებს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაში ჯერ არასოდეს არ ყოფილა საზოგადო მოღვაწის ასეთი ნაჩქარევი გასამართლება.

პროცესზე, დამცველს გარდა, სიტყვა წარმოსთქვა თვით ბრაუდერმა. მან აჩვენა, რომ მის წინააღმდეგ წამოყენებული ყველა ბრალდება აგებულია სიცრუესა და ფორმალურ ხრიკიანობაზე. მან ხაზი გაუსვა, რომ ბრალდებამ მის წინააღმდეგ ვერავითარი ისეთი ფაქტი ვერ წამოაყენა, რომელიც მოწმობდეს მის არასწორ და უკანონო მოქმედებას.

„მე ვამაყობ იმით, — განაცხადა დასასრულ ბრაუდერმა, — რომ ვარ კომუნისტი და კომპარტიის მდივანი“.

მიუხედავად ბრაუდერის წინააღმდეგ წამოყენებულ ბრალდებათა აშკარა დაუსაბუთებლობისა, სასამართლომ დამნაშავედ აღიარა იგი და მიუსაჯა 4 წლის პატიმრობა და 2 ათასი დოლარი ჯარიმის გადახდა. სანამ აპელაციები უმაღლეს სასამართლო ინსტანციებში გაირჩევა, ბრაუდერი განთავისუფლებულია თავდებობით.

# ღირსშესანიშნავი იუბილე

## (პროფესორ ვ. ვ. ვორონინის მოღვაწეობის 50 წლის შესრულების გამო)

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი, საქართველოს ფიზიოლოგთა საზოგადოება და საქართველოს ექიმთა საზოგადოება, საქართველოს სსრ ჯანსახკომის მეთაურობით დღეს, 25 იანვარს, საღამოს 7 საათზე, თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლუბში საზეიმო სხდომით აღნიშნავენ თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორის, სამედიცინო მეცნიერებათა დოქტორის, ვლადიმერ ვასილის-ძე ვორონინის სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 50 წლისთავს.

პროფესორი ვ. ვ. ვორონინი ერთერთი იმ რუს მეცნიერთაგანია, რომლებიც ოქტომბრის დიდი რევოლუციისთანავე ჩადგნენ საბჭოთა მეცნიერების რიგებში.

ვ. ვ. ვორონინი დაიბადა 1870 წელს, აგრონომის ოჯახში ტულის გუბერნიის ჩერნსკის მაზრის სოფელ ნიკოლსკოეში. 1893 წელს წარჩინებით დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი. 1893 წლიდან 1922 წლამდე მუშაობდა მოსკოვისა და ოდესის უნივერსიტეტებში. 1922 წელს პროფესორი ვ. ვ. ვორონინი თბილისის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის საბჭომ და პროფესორთა საბჭომ მოიწვიეს თბილისში და 1922 წლის დამლევიდან დღემდე ვლადიმერ ვასილის-ძე განუწყვეტლივ მუშაობს პროფესორად, პათოლოგიური ფიზიოლოგიის კათედრის გამგედ.

უმაღლეს სკოლაში სამეცნიერო და პედაგოგიურ მუშაობასთან ერთად ვ. ვ. ვორონინი, როგორც მოსკოვში და ოდესაში, ისე თბილისშიც ეწეოდა და ეწევა სამეცნიერო-პრაქტიკულ მუშაობას. თბილისში იგი მრავალი წლის განმავლობაში განაგებდა ქალაქის 1-ლი საავადმყოფოს ლაბორატორიას და კონსულტაციას უწევს მთელ რიგ სამეცნიერო-კვლევით და სამკურნალო დაწესებულებებს.

ამჟამად პროფესორი ვ. ვ. ვორონინი წარმოადგენს საბჭოთა კავშირის არა მარტო უხუცეს, არამედ უეჭველია ერთერთ ყველაზე განათლებულ და დიდ პათოფიზიოლოგს. მისი სახელი ცნობილია საბჭოთა კავშირის საზღვრებს იქითაც.

პროფესორ ვ. ვ. ვორონინს ახასიათებს ნათელი, დამოუკიდებელი და ორიგინალური მეცნიერული აზროვნება, იშვიათი დაკვირვებულობა, არაჩვეულებრივი შრომისმოყვარეობა, დახელოვნებული ექსპერიმენტატორისა და სამეცნიერო სამუშაოთა ორგანიზატორის იშვიათი ნიჭი, მეცნიერებისადმი უსაზღვრო რწმენა და განსაკუთრებით დიდი ერუდიცია ბიოლოგიისა და პათოლოგიის დარგში.

სამეცნიერო მუშაობა ვ. ვ. ვორონინმა დაიწყო უკვე სტუდენტობის დროს. შემდეგში, როგორც მეცნიერმა, ვ. ვ. ვორონინმა მეცნიერებას მისცა ელენთის აღნაგობის შესწავლის სრულიად ახალი ჰისტოლოგიური მეთოდი. მისი მეთოდით დასახული სურათი ამჟამად წარმოადგენს ამ ორგანოს აღნაგობის შესახებ ცოდნის საფუძველს. მან მოგვცა ანთების მთელი რიგი საკითხების ორიგინალური გადაჭრა. და ყველაფერი ეს უკვე დიდიხანია შევიდა სახელმძღვანელოებში, საზღვარგარეთაც კი. გარდა ამისა, ვლადიმერ ვასილის-ძის მრავალრიცხოვან მოწაფეთა მრავალ ათეულ ნაშრომებში გაბნეულია პათოლოგიის სხვადასხვა აქტუალური საკითხების გადაწყვეტა, რასაც საფუძვლად მისი შემოქმედებითი იდეები უდევს.

პროფესორმა ვ. ვ. ვორონინმა მოამზადა მეცნიერთა მრავალრიცხოვანი კადრი, რომელთა შორის არის აკადემიკოსიც. ეს კადრი პროფესორების, დოცენტების, ასისტენტებისა და სხვა კვალიფიციური სპეციალისტების სახით ნაყოფიერად მუშაობს საქართველოს და სხვა მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების უმაღლეს სასწავლებლებში და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში.

პროფესორი ვ. ვ. ვორონინი, სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად, ყოველთვის ეწეოდა და ეწევა სამეცნიერო-პრაქტიკულ მუშაობას. იგი თეორიას ყოველთვის მჭიდროდ უკავშირებს პრაქტიკას.

ვ. ვ. ვორონინის დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს აგრეთვე მისი განსაკუთრებული უბრალოება, მუდმივი მზადყოფნა გაუზიაროს სხვებს თავისი დიდი ცოდნა და გამოცდილება, მისცეს რჩევა ყველას, ვისაც სჭირდება მისი მითითება და დახმარება.

მის მიერ განვლილი ნახევარსაუკუნოვანი შრომითი გზა არის გზა მიღწევებისა, წარმატებებისა, რომლებიც განსაკუთრებით გამრავლდა საბჭოთა წყობილების დროს, როდესაც მეცნიერება და კადრების მომზადება გახდნენ პარტიისა და მთავრობის განსაკუთრებული ყურადღებისა და მზრუნველობის საგნად.

სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 50 წლისთავზე და დაბადების 70 წლისთავზე პროფესორი ვ. ვ. ვორონინი ჯერ კიდევ მხნედ გამოიყურება, ძალღონით და ენერგიით ალსავსეა. მისი მრავალრიცხოვანი მოწაფეები, ამხანაგები, ყველანი, ვინც კი მას იცნობს, გულწრფელად უსურვებენ მხცოვან მეცნიერს მრავალ წელს ჯანმრთელობას და მისი სასარგებლო მოღვაწეობის განგრძობას საბჭოთა მეცნიერების სასახელოდ, იმ მოწინავე მეცნიერებისა, რომლის სასამსახუროდ მოგვიწოდებს საბჭოთა კავშირის ხალხთა და მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადი, უდიდესი მეცნიერი, გენიალური სტალინი.

**პროფ. ვ. უ. ჟღენტი.**

## აკაკი წერეთლის გარდაცვალების 25 წლისთავი

5 თებერვალს სრულდება დიდი ქართველი პოეტის, აკაკი როსტომისძე წერეთლის გარდაცვალების 25 წლისთავი. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი ამ თარიღის აღსანიშნავად მოაწყობს პოეტის ხსოვნისადმი მიძღვნილ დიდ სალიტერატურო-სამხატვრო საღამოს.

საღამოს შესავალი სიტყვით გახსნის საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმის პასუხისმგებელი მდივანი ირ. აბაშიძე. აკაკის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ მოხსენებას გააკეთებს ლ. ასათიანი. საღამოზე გამოვლენ აგრეთვე შ. დადიანი, გ. ქიქოძე, გ. ლეონიძე, ლ. ქიაჩელი, პ. ინგოროყვა. პოეტები წაიკითხავენ აკაკი წერეთლისადმი მიძღვნილ ლექსებს. პოეტის საუკეთესო ლექსებს წაიკითხავენ მსახიობები.

დასასრულ, გაიმართება კონცერტი დედაქალაქის საუკეთესო მსახიობთა მონაწილეობით. (საქდესი).

## პროფკავშირთა ახალი სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები

პროფკავშირთა სრულიად - საკავშირო ცენტრალურ საბჭოს და პროფკავშირთა ცენტრალურ კომიტეტებს ათასზე მეტი სანატორიუმი და დასასვენებელი სახლი აქვთ, სადაც მილიონობით მშრომელნი ატარებენ შვებულებას. წელს პროფკავშირთა ჯანმრთელობის კერების ქსელი ფართოვდება, საექსპლოატაციოდ გადაიცემა მრავალი ახალი კეთილმოწყობილი სანატორიუმი და დასასვენებელი სახლი.

მაცესტის ველზე, სოჭის მახლობლად შენდება პირველხარისხოვანი სანატორიუმი. აქ იქნება ორი 75-ადგილიანი კორპუსი, კლუბი - სასადილო და მთელი რიგი სხვა შენობები ავადმყოფთა მომსახურებისათვის. სანატორიუმი უკვე ამ წლის დამლევს დაიწყებს მუშაობას ნაწილობრივ. მისი აგება 7,5 მილიონი მანეთი დაჯდება.

გულით დაავადებულთათვის სანატორიუმი შენდება კისლოვოდსკში, ჰიკეტის მთაზე. არქიტექტურული გაფორმებით და მოწყობილობის ხარისხით ეს სანატორიუმი ჩვენი ქვეყნის საუკეთესო სანატორიუმებს არ ჩამოუვარდება. 1940 წელში ამუშავდება ერთ-ერთი კორპუსი, რომელიც ნავარაუდევია 80 ავადმყოფისათვის.

მნიშვნელოვნად ფართოვდება მთელი რიგი ახალი კურორტები. კულდურში (ებრაელთა ავტონომიური ოლქი) შენდება 100-საწოლიანი სანატორიუმის კორპუსი. კურორტ დარასუნში (ჩიტის ოლქი), ეგრეთწოდებულ „ციმბირის კისლოვოდსკში“, სადაც ნარზანის უძვირფასესი წყაროა, 250-საწოლიანი სანატორიუმის მშენებლობა იწყება. შემდეგში განზრახულია დარასუნში აშენდეს კიდევ სამი ასეთივე სანატორიუმი, საბაზანო შენობა და სხვ.

წელს მუშაობას იწყებს ათობით ახალი კეთილმოწყობილი დასასვენებელი სახლი. მშენებლებისათვის გაიხსნება დასასვენებელი სახლი მოსკოვს ახლომდებარე სადგურ ტუჩკოვოში, დასავლეთის რკინიგზაზე. იგი იტევს 200 კაცს. ბოდაიბოში მთავრდება 100-ადგილიანი დასასვენებელი სახლის მშენებლობა ოქროს მრეწველობაში მომუშავეთათვის. უახლოეს დროში ამუშავდება დასასვენებელი სახლები: კოლჩუგინის მახლობლად ორჯონიკიძის სახელობის ქარხნის მუშაკთათვის, სვერდლოვსკის მახლობლად — მძიმე მანქანათმშენებლობის ორჯონიკიძის სახელობის ურალსკის ქარხნის მუშაკთათვის და სხვ. (საკდესი).

## დღეს კინოებში

**რუსთაველის სახ.** — „ახალი დროება“, **დამკვრელი** — „პატრიოტი“, **ოქტომბერი** — „თერთმეტი დედაქალაქი“, **კომკავშირელი** — „ზანგეზურ“, **სპარტაკი** — „გემის გზა“, **ლუქსემბურგის სახ.** — „საბჭოთა სამშობლოსათვის“, **26 კომ. სახ.** — „ინჟინერ კოჩინის შეცდომა“, **კომინტერნი** — „მფრინავები“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

ღრმად დამწუხრებულნი: დედა პელაგია, მეუღლე მარო, შვილები ლიანა და ლალი, ძმა დათიკო ბზიავები იუწყებიან დაუვიწყარ
**ალექსანდრეს (საშას)**
გარდაცვალებას. გამოსვენება 27/I ბინიდან: ლიბკნეხტის ქ. № 4, 5 საათზე. პანაშვიდი ყოველდღე საღ. 7 ს.

რძალი ლილი, შვილიშვილები მანანა და ბაკური ბოკერიები, გაზრდილი აგრაფინა გეწაძე იუწყებიან დაუვიწყარ
**სოფიო მიხეილის-ასულ ბოკერიას**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 25/I გამოსვენება 4½ ს. ვარდისუბნის, 7.
4712

ამხანაგები თოთაძე, თანიაშვილი, ხუციშვილი, ნადარეიშვილი, ჯაფარიძე, ლითანიშვილი, ახვლედიანი, კომახიძე, მეავია, ავალიანი, ხარებავა, აბაზაძე, სვანელი, მაჭარაშვილი იუწყებიან კოლია ჯვარშეიშვილის დედის
**ირინე ჯვარშეიშვილის**
გარდაცვალებას. 4719

ჟუჟუნა და გივი შვილებით, რძალი ლოლა მიქელაძეები იუწყებიან დაუვიწყარი დედის და ბებიის
**ოლიმპიადა (ლიპა) კონსტანტინეს-ასულ მიქელაძის**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 25/I 7. ს. პლეხანოვის პრ., 117.
4729

მშობლები ლუბა ვლადიმერ, ძმები ჭუჭულა, მამია, ვაჟია, მუცუცა ცოლშვილით, და თამარ ცქიტიშვილები იუწყებიან საყვარელ
**კუკური ცქიტიშვილი-არაბიძის**
გარდაცვალებას. დაკრძალვა ზესტაფონში 26/I. მახარაძის, 6. 4714

მეუღლე კოსტა, შვილები პოლიაქტორ, ილიკო, სონია, დავით, ვერა, ნონა ჯვარშეიშვილები სიძეებით და რძლებით იუწყებიან
**ირინე ჯვარშეიშვილის**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 25/I ს. იანეთში. 4723

შვილები ევსევი, ოლა, რძლები კატო, საშიკო, ელენე, შვილიშვილები გრიშა, ნადია, ლენა, ქართლოსი, ნორა, ოლა, ივერი იუწყებიან
**მარიამ გრიგოლის-ასულ მაისურაძის**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 24/I ს. ბაჯში (რაჭა). 4713

ლიზა გუგუშვილი შვილებით თამარით, გოგით, მეგრელათი, ზალიკოთი და ნატალოთი, რძლებით თინათი და ციცინოთი, სიძით ანდროთი იუწყება ძვირფას
**სოფიო მიხეილის-ასულ ბოკერიას**
გარდაცვალებას. გამოსვენება 25 იანვარს, ვარდისუბნის, 7. 4736

კინოფიკაციის სამმართველოს და თბილისის ტრესტის დირექცია თანამშრომლებით იუწყებიან მთავარ ინჟინერ კოლია ჯვარშეიშვილის დედის
**ირინე მალაქიას-ასულ აბზიანიძე-ჯვარშეიშვილის**
გარდაცვალებას. 4720

ცოლი ელისაბედ, შვილები ბორის და ანგელინა ახვლედიანები იუწყებიან
**იასონ ალექსანდრეს-ძე ახვლედიანის**
გარდაცვალებას. გამოსვენება 25/I 4 ს. ტელეგრაფის ჩიხი, 4. კუკიის სასაფლაოზე. 4724

მეუღლე ლევენტი, შვილები ვენერა და ნიკოლოზ, შვილიშვილები ნონა და მურად იუწყებიან ძვირფას
**ესტატე ალმასხანის-ძე ჟვანიას**
გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ზუგდიდში 27/I. 4715

ძმა ალექსანდრე იაგორის-ძე ავეტიქოვი, ცოლი სალინკა, შვილები ანა, რუსუდან და გოგი იუწყებიან
**ზაქარია იაგორის-ძე ავეტიქოვის**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 25/I 7 ს. გამოსვენება 26/I, 4½ ს. მილიციის, 25, პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. 4734

შვილები გრიშა, დარო, ჟორა და ცაკო იუწყებიან, რომ 26/I 2 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია საყვარელი დედის
**ოლა (ოლღა) სილაგაძის**
სამოქალაქო პანაშვიდი. 4728

ბიძა ირაკლი, ბიცოლა ანეტა კალანდარიშვილები შვილებით თინათი და ელიკოთი, დეიდაშვილები ლიზა ხუხუნი ქმრით ლადო ბეჟიაშვილით, ირაკლი ხუხუნი ცოლით მაროთი იუწყებიან
**დათიკო უჩანეიშვილის**
გარდაცვალებას. 4718

თამარ, გიორგი, შალიკო, იაშა, სულიკო, ჯანგირ და მედეა დევიძეები იუწყებიან მამის, ბიძის და ბაბუას
**ილია ჭანიშვილის**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 25/I ხიდისთავში (გურია). 4716

ეთერ ჭურღულია დედით იუწყება, რომ 28/I ქ. ზუგდიდში სამოქალაქო სასაფლაოზე დანიშნულია გამზრდელი ძმის
**ამირან იაკობის-ძე ჭურღულიას**
სამოქ. პანაშვიდი. 4722

ცოლი ელენტი, შვილები თამარ, ნინო და მარგარიტა, სიძე შალვა ქობულაშვილი იუწყებიან დაუვიწყარ
**პორფილე დავითის-ძე ფანჯავიძის**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 28/I ქ. ქუთაისში ბუდიონის ქ, 14. 4726

ექიმი აკაკი სერაპიონის-ძე ფანჯავიძე ცოლით ლიდათი, შვილებით ეთერით, ლიუდოვიკით, დედით პელაგიათი, დებით ივდითით, იულიათი, ვალიათი, ნელით, სიძეებით იუწყება საყვარელი ბიძის
**პორფილე დავითის-ძე ფანჯავიძის**
გარდაცვალებას. 4731

ქმარი სერიოჟა, დედამთილი ივლიტა, მამამთილი კოლია, მაზლი გივი, მულები ლოლა, შურა, ნინო, ნატაშა, ლელიკო, სიძე ს. შარიქაძე იუწყებიან
**კუკურა ცქიტიშვილი-არაბიძის**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 26/I ზესტაფონში. 4711

დოვნა მინდაძე შვილებით, რძლებით, სიძეებით და შვილიშვილებით იუწყება ძვირფასი მაზლის და ბიძის
**მიხეილ პეტრეს-ძე მინდაძის**
გარდაცვალებას. დაკრძალვა ჩოხატაურში. 4730

ნუცა და ალიოშა შელია შვილით იუწყებიან საყვარელ
**სოფიო (გოგოლა) მიხეილის-ასულ ბოკერიას**
გარდაცვალებას. გამოსვენება ვარდისუბნის, 7. 25/I 4½ ს. 4732

ქმარი გედევან ქავთარაძე შვილებით, დედა ეფროსინე, მამა იოველი, ძმები საულია, მიშა კვინიხიძეები იუწყებიან
**აგრაფინა კვინიხიძე-ქავთარაძის**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 28/I სოფ. კლდეეთში. 4727

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩ. № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა—3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის და პრესის მოხილვის 3—81—84, სასოფლო-სამეურნეოს—3—73—40, ეკონომიურისა და განათლება-ჯანმრთელობის 3—80—83, ლიტერატურისა და ხელოვნების და ინფორმაციის—3—80—84, წერილების—3—73—24, პ.-მგ. მორიგის და გამომშვების—3—81—65, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

მთავლიტის რწმუნებული № 727